

ივერიის

ფასი ნომრისა 6 კაპეიკი

თბილისის
ნიჰელინი
№ 21
საქართველოს
საბჭოთაო
დემოკრატიული
რესპუბლიკის

კვირა, 23 ივლისი

ქოველკვირეული გაზეთი

ფასი წლის დამლევამდის 3 მან.; ხუთი თვით 2 მან. 1877—1906 აღდრესი: ცფილისი, ფრეილინის ქ., № 5. ცფლეთ. № 922.

„ივერიის“ ხალხი ნომერი ტფილისში და ტფილისს გარეთ ღირს 6 კაპეიკი.

სამეფელმოების ბრძოლა

საფრანგეთის შესანიშნავი მწერალი ტოკვილი, რომელსაც მეცნიერებაში სამავალითოდ ცნობილი წიგნი აქვს დაწერილი „ამერიკის დემოკრატიის“ შესახებ, თავის ნაწარმოების ერთ ადგილას ეხება პატარა და დიდ ერებს და არკვევს, თუ როგორ და რამდენად არის შესაძლებელი დემოკრატიის განვითარება დიდსა და პატარა ერში. იგი ამბობს, რომ დემოკრატიულ წესწყობილების აყვავება უფრო მოსახერხებელი და შესაძლებელია პატარა ერში, რადგან პატარა ერი, თავის სიმცირის გამო, საუკეთესო ხელის შემწეობ პირობას წარმოადგენს დემოკრატიულ რეჟიმის დასამყარებლად.

„პატარა ერებში—სწერს იგი—საზოგადოების თვალი ყველაფერს სწვდება; გაუმჯობესება საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველ წვრილობას ეხება: რადგან ხალხს მცირე ძალა აქვს, ამიტომ არ შეუძლია გამოეყიდოს საგარეო პოლიტიკას, მოინდომოს სხვა ხალხების დაპყრობა, და მთელი მისი ძალა და საშუალება ხმარდება შინაურ კეთილდღეობის საქმეს და არ ეწირება მსხვერპლად წარმავალ საგარეო დიდება-სახელს. რადგან ასეთ საზოგადოებაში შუათანა ქონების პატრონი ადამიანთა რიცხვი დიდია, ამიტომ მოქალაქენი თითქოს ბუნებრივად ერთმანეთის თანასწორნი ხდებიან, ზნე-ჩვეულებასაც ასეთ ხალხში უფრო მარტივი და მშვიდი ხასიათი აქვს. და ასე, თუ მივიღებთ მხედველობაში გონებრივ და ზნეობრივ განვითარების მეტნაკლებობას და გავსჯით, იმ დასკვნამდის მივალთ, რომ პატარა ერებში მეტი კმაყოფილებაა, უფრო სქელი მოსახლეობა არის და უფრო მეტი სიმშვიდეა, ვიდრე დიდ ერებში. როცა ტირანია (პატარავლობა) გამეფდება რომელსავე პატარა ერში, აქ იგი უფრო უსამართლო და ძნელად ასატანი ხდება, ვიდრე სხვაგან სადმე, ვინაიდან აქ პატარავლობას პატარა წრე აქვს ასპარეზად და ამიტომ ცხოვრების ყოველ მხარეს სწვდება. აქ ტირანია ვერ ახერხებს ერთი რომელიმე მთავარი სფერა ჩაიგდოს ხელში და ამიტომ იგი ხდება აუტანლად ძალმომრეობისა და შევიწროების გამოშხატველი. პოლიტიკურ სფეროდან, რომელიც ჩვეულებრივ შეადგენს ტირანიის საკუთვნოს, ტირანია ედება ადამიანთა კერძო ცხოვრებასაც. იგი არა თუ განაგებს მოქალაქეთა მოქმედებას, არამედ ცდილობს დაიმორჩილოს და განა-

გოს მათი გემოვნება; იგი არ კმაყოფილდება, რომ განაგებს სახელმწიფოს,—ამავე დროს ცდილობს განაგოს კერძო ოჯახური ცხოვრებაც. მაგრამ ეს იშვიათი მოვლენაა, და პატარა საზოგადოებათა ცხოვრების ბუნებრივ პირობას შეადგენს თავისუფლება. აქ მთავრობის ძალა დიდად მიზიდველი არ არის ადამიანის თავმოყვარეობისათვის და მოქალაქეთა საშუალებაც ფრიად შეზღუდულია და ხელს არ უწყობს, რომ უმაღლესი საგამებელ-ძალა-უფლება მხოლოდ ერთმა ადამიანმა დაისაკუთროს. და ეს რომ კიდევ მოხდეს, მოქალაქეებს ადვილად შეუძლიათ შეერთდნენ და შეერთებულის ძალით ხელად ძირს ჩამოაგდონ მტარავალი და მოსპონ ტირანია. ამიტომ პატარა ერები ყოველთვის აკვანი ყოფილან პოლიტიკურ თავისუფლებისა... რომ ქვეყნად მხოლოდ პატარა ერები არსებობდნენ და დიდები არ იყვენ, უმჯობელია, კაცობრიობა უფრო თავისუფლად და ბედნიერად იცხოვრებდა. მაგრამ ნამდვილად დიდი ერები არსებობენ და მათი მოსპობა, რასაკვირველია, არ შეიძლება. ამ გარემოებას შეაქვს კაცობრიობის ცხოვრებაში ახალი ელემენტი, რომელსაც ძალა ეწოდება. რას აქმნევს რომელიმე პატარა ხალხი თავის კმაყოფილებას და თავისუფლებას, თუ მუდამ შიშში იქნება, რომ უფრო ძლიერნი მას თავს დაეცემიან და გაანადგურებენ ან დაიპყრობენ? რა სარგებლობას მოუტანს მას თავისი საკუთარი ვაჭრობა და მრეწველობა, თუ მეორე ხალხი ვაბატონებული იქნება ზღვებსა და ბაზარზე? პატარა ხალხები ხშირად უბედურნი არიან არა თავის სიმცირის გამო, არამედ იმიტომ, რომ მცირე ძალა აქვთ; დიდი ერებიც ჰყვავდებიან არა თავის სიდიდის გამო, არამედ თავის ძალის წყალობით. მაშასადამე, ერებისათვის ძალა შეადგენს ხშირად ერთ ერთ მთავარ პირობას არსებობისა და ბედნიერებისა. აქედან წარმოსდგება, რომ პატარა ერები, თუ დამოუკიდებელ არსებობისთვის განსაკუთრებით ხელის შეწყობი გარემოება არ დაურჩათ, ბოლოს და ბოლოს ან თავს ნებით უერთდებიან დიდ ერებს, ან ძალით იმორჩილებენ მათ ნათხე უფრო ძლიერი ხალხები. და, აი, ამიტომ,—რომ ერთად შეერთებულ იქმნას უპარატესობანი, რომელნიც თან ახლავს ერის მცირე და მრავალრიცხოვანობას,—შემოღებულ იქმნა ფედერატიული სისტემა პოლიტიკურ წყობილებისა. საქმარისია გადავხედოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომ შეენიშნათ ყველა კარგი შედეგები, რომელნიც გამოიმდინარებენ ამ სისტემიდან.“

შემდეგ ტოკვილი დაწვრილებით არკვევს ამ აზრს. იგი ვრცლად ანტიკიცებს, რომ ამერიკის ფედერაციაში ხალხნი პატარა ერთეულებადაც არიან დაყოფილნი და იმავე დროს ერთ მთელ პოლიტიკურ ორგანიზმსაც შეადგენენ. ამიტომაც იქ დემოკრატიული წყობილება უმწვერვალეს განვითარება-

დისა მიღწეული და თავისუფლება სავსებით უზრუნველყოფილი არის. სახელმწიფოს მთელი მოქალაქეობის ცხოვრება სავსებით დემოკრატიულ საფუძველზეა დამყარებული და არ არის იქ არც ერთი დაწესებულება, რომელიც დემოკრატის მტრობდეს და მის წინააღმდეგ ბრძოლას ეწეოდეს. ეკლესიაც, რომელიც საზოგადოდ კონსერვატიული დაწესებულებაა და დემოკრატის ვერ ურიგდება, ამერიკაში დემოკრატისთან შეთანხმებული და შერიგებულია.

„შეცდომით ჰგონიათ, — სწერს ტოკვილი, — რომ კათოლიკური სარწმუნოება ბუნებრივი მტერია დემოკრატისა... შეიძლება ვთქვათ, რომ შეერთებულ შტატებში არ არის ისეთი სარწმუნოებრივი მოძღვრება, რომელიც მტრობდეს დემოკრატიულ-რესპუბლიკურ დაწესებულებებს. ყველა აღსარების სამღვდლოც იქ არსებითად ერთსა და იმავეს ლაპარაკობს, — მათი ქადაგება დემოკრატიულ კანონების თანხმა არის. ერთხელ, როცა მე შეერთებულ შტატების ერთ ქალაქში ვიყავი დროებით, მიმიწვიეს ერთ პოლიტიკურ კრებაზე, რომელსაც აჯანყებულ პოლონელებისთვის შემწეობის აღმოჩენა, ფულისა და იარაღის მიწოდება ჰქონდა მიზნად. წავედი და ვნახე ორი თუ სამი ათასი კაცი, შეკრებილი ერთ დარბაზში. მალე მოვიდა მღვდელიც, საეკლესიო ტანისამოსით შემოსილი, და ავიდა კათედრაზე, რომელიც ორატორებისთვის იყო დანიშნული. დამსწრეებმა ქუდები მოიხადეს, ხოლო მღვდელმა დაიწყო ლაპარაკი და დაახლოვებით სიტყვა შემდეგი: „ღმერთო, ყოვლის შემძლებლო! შენ, რომელიც უმაგრებლად გულს ღე უმართავდი ხელს ჩვენს მამებს, როცა ისინი თავის ხალხის წმინდა უფლებებს იცავდნენ, შენ, რომელმაც მოგვანიჭე გამარჯვება საზიზღარ შევიწროებაზე და მოეც ჩვენს ხალხს სიკეთე მშვიდობისა და თავისუფლებისა, — შენ, უფლო, მიაპყარ შენი კეთილი თვალი დემამწის მეორე ნახევარსაც; შეხედე შებრალებით გმირ ხალხს, რომელიც იბრძვის ახლა, როგორც ჩვენ ვიბრძოდით ოდესღაც იმავე უფლებების დასაცავად. ღმერთო, რომელმაც შეგქმენ ყველა ადამიანი ერთის სახისად, ნუ მისცემ ნებას, რომ დესპოტიზმმა დასახინჩროს შენი ქმნილება და დასტოვოს დემამწიწაზე უთანასწორობა. ყოვლის შემძლებლო ღმერთო, უპატრონე პოლონელებს და ვადააქციე ისინი თავისუფლების ღირსად; მიეც შენი სიბრძნე მათ მჩრეველ-დამრიგებლად და შენი ძალა მათ ხელთ-საბრძოლველად; დააფრთხე მტერნი მათნი, ვადაცალკევე სახელმწიფონი, რომელნიც მათს მოსპობას ცდილობენ. ღმერთო, მოუვლინე მომხრეები პოლონელთა სამართლიან საქმეს; ჰქმენ, რომ საფრანგეთის ხალხმა თავი დააღწიოს იმ უმოქმედობას, რომელსაც მას უღლად ადებს მისი მთავრობა და აღსაგეს ერთხელ კიდევ მსოფლიო თავისუფლებისთვის საბრძოლველად. ყოვლის შემძლებლო ღმერთო, ისმინე ლოცვა ჩვენი და ისენ პოლონელები! ამინ“ და მთელმა კრებამ სასოებით გაიმეორა: „ამინ!“

ამ პატარა ამბის აღწერით ახასიათებს ტოკვილი სამღვდლოებისა და ეკლესიის პოლიტიკურ ხასიათს ერთ-ერთ ნამდვილ დემოკრატიულ სახელმწიფოში. ასე ქადაგობს და ექომაგება ხალხის თავისუფლებას სამღვდლოება იქ, სადაც სრული დემოკრატიული წესწყობილებაა დამყარებული და მოქალაქეობრივ ცხოვრებაში ხალხის ნება და სურვილია გამეფებული

ზემოაღნიშნული სტრიქონები ტოკვილისა თავის თავადაც საინტერესო და საგულისხმობა, მაგრამ ჩვენ ვაღმოვიფიქრო

ისინი არა მარტო ამისთვის, არამედ იმიტომ, ^{ქრემის მთაზე} მოთქმულ აზრს, ერთის მხრით მაინც, ამართლებს ჩვენს საქმეში ლანდელი ცხოვრება, — საქართველოს თანამედროვე დემოკრატიული მოძრაობა. მართალია, ამ მოძრაობას მრავალი სხვა და სხვა მიზეზები აქვს, — რომლებზედაც ჩვენ სხვა სხვა დროს კიდევ გვილაპარაკნია, — მაგრამ მათში ერთ-ერთ, თუ არ გამომწვევს, ხელის შემწყობ მიზეზად მაინც, უუპკველია, ჩვენი ქვეყნის სიპატარავე არის მისაჩნვეი და გასათვალისწინებელი. ფართოსა და მრავალრიცხოვან ხალხით დასახლებულ ტერიტორიაზე, უუპკველია, ისე ადვილად ვერ გავრცელდება და ვერ გაძლიერდება რაიმე იდეური მოძრაობა, როგორც პატარაზე. ვერც ერთ დიდ ხალხში ვერ შეასრულებდნენ ქალაქის მუშეები სოფლად იმ როლს, რომელიც შეასრულეს ქართველმა მუშეებმა ჩვენში. და ეს, სხვათა შორის, იმიტომ, რომ ადგილი მცირეა და მისი კიდეთ კიდემდე მოვლა საპრაპაგანდოდ მოსახერგებელი არის. რა თქმა უნდა, დემოკრატიული იდეები დღევანდელსავე ნაყოფიერ ნიადაგს ვერ ჰპოვებდა ჩვენში, რომ ქართველ ხალხის ცხოვრებაში შესაფერი სოციალ-პოლიტიკური პირობები არ მოიპოვებოდნენ. მაგრამ ცხადია, იგივე იდეები ისე სწრაფად და ვერც ამოდენად ვერ გავრცელდებოდა, რომ ტერიტორიის სიპატარავე და ხალხის სიმცირე ხელს არ უწყობდეს. ხალხის სიმცირე, ჯერ ერთი, როგორც ტოკვილი ამბობს, ისტორიულად აბრკოლებს ხალხში ქვეყნდრომულ გრძობების ჩანერგვას და განმტკიცებას და მეორე, — ხელს უწყობს და ადვილებს სახალხო ინტერესების შეგნების გავრცელებას.

მაგრამ ხალხის სიმცირეს თან ახლავს კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც ასეთივე მნიშვნელობა აქვს. მცირე რიცხოვან ხალხში კონსერვატიულ ელემენტებს შედარებით ბევრად ნაკლები სულიერი ძალა და გავლენა აქვთ, უფრო ადვილად და პასიურად ემორჩილებიან უმრავლესობის გონებრივ ძალდატანებას, ვიდრე იქ, სადაც ხალხი რიცხვით დიდია და, მაშასადამე, საზოგადოების კონსერვატიული ჯგუფები აბსოლუტურად უფრო მრავალრიცხოვანია. პოლიტიკურსა თუ სოციალურს ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს მოპირდაპირეთა შედარებითს რაოდენობას. თუ ყველა სხვა პირობებს თანაბრად ვიგულისხმებთ, თითოეულ მებრძოლ კლასს მით უფრო მეტი „გული ექლევა“, ბრძოლისთვის საჭირო სურვილი და გამბედაობა მით უფრო ემატება, რაც უფრო იგი თავის წრეში მეტ წევრებსა და თანამოაზრეებს ხედავს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თავის მოწინააღმდეგე უმრავლესობის გონებრივ გავლენას ემორჩილება და ცდილობს შეეწყოს და შეეგუოს მის სურვილსა და მოთხოვნილებას.

ეს აზრი მკითხველისთვის სავსებით ცხადი შეიქნება, თუ ერთმანეთს დაუპირდაპირებს დიდ რუსეთსა და პატარა საქართველოს. მიუხედავად იმისა, რომ შუაგულ რუსეთში მრეწველობა უფრო განვითარებულია, ვიდრე ჩვენში, რევოლუციონური მოძრაობა შედარებით იქ უფრო სუსტია, ვიდრე პატარა საქართველოში. სამრეწველო მუშა ხალხის იდეოლოგიამ სრულიადაც ვერ მოიპოვა ისეთი გავლენა იქაურ გლეხკაცობაზე, როგორც ჩვენში. თუმცა ჩვენში თავად აზნაურობას, ხალხის საერთო ქონებასთან შედარებით, ბევრად მეტი ქონებრივი ძალა აქვს, ვიდრე თავად-აზნაურობას რუსეთში, აქ იგი თითქმის სრულიად მოკლებულია იდეურ გავლენას საზოგადოებრივს მოძრაობაზე, მაშინ როდესაც რუ-



სეთში თავდა-ახნაურობა დღეს ჩამოყალიბებულ და თვალსა-ჩინოდ მომქმედ კონსერვატიულ ძალას წარმოადგენს.

ჩვენ გვგონია, ზემოაღნიშნულ გარემოებით უნდა ახ-სნას ის მოვლენაც, რომ ქართველი სამღვდლოება, შეიძლება ვთქვათ, საერთოდ რევოლუციონურ გზას დაადგა და ბრძო-ლა გამოუცხადა არა თუ თვითმპყრობელ ბიუროკრატას, არამედ მართა-გამგებობის საქმეებშიაც უკიდურესი დემოკრა-ტიული ცვლილება მოითხოვა. ეს მოვლენა გაუგებარი იქნე-ბოდა, რომ ჩვენში, წარმომდგარი არ იყოს ძლიერი საერთო დემოკრატიული მოძრაობა, რომე უსაც ემხრობა ხალხის დიდ-ძალი უმრავლესობა და რომლის სოციალურ შინაარსსაც კი წინააღმდეგობას ვერ უწყევს ვერც თავდა-ახნაურობა და ვერც ბურჟუაზია. სამღვდლოება, ვითარცა მსახური წოდება, თავის მდგომარეობით ხალხისაგან არის დამოკიდებული და მას არ შეუძლია ხალხის მისწრაფებასა და მოთხოვნილებას გვერდი აუხვიოს, ან წინააღმდეგობა განსაკუთრებით იქ, სადაც იმავე მოძრაობას კონსერვატიული და ესრედ წოდებული „ზომიერი“ ჯგუფებიც ჩაჩუქებული ჰყავს. ამიტომ სამღვდლოებაც სახალ-ხო მოძრაობის საერთო კალაპოტში დგება და ისიც დემო-კრატიულ ბრძოლის გზას ადგება. და ასე, ჩვენ ვხედავთ, რომ თუმცა ჩვენს მხარეს ჯერ ბევრი რამ აკლია ამერიკის განვითარებამდის, მაგრამ სამღვდლოება აქაც იწყებს დემო-კრატიულ წესწყობილებასთან შეწყობასა და შეგუებას, რო-გორც ეს მისმა თანამომქმედ შორეულ ამერიკაში უკვე მოი-მომქმედა და ამის შესაფერი ცვლილება განიცადა.

ქართველმა სამღვდლოებამ, როგორც ყველამ იცის, ბრძოლა გამოუცხადა რუსეთის სასულიერო და საერო ბიუ-როკრატის განმთავისუფლებელ მოძრაობისადმი მიმხრობით, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და დემოკრატიულ საეკლესიო რეფორმის მოთხოვნით. მთავრობამ ასეთ „აჯან-ყებას“, რასაკვირვოა, რებრესიებით გასცა პასუხი. გენერალ-გუბერნატორებმა იწყეს მღვდლების ერის კაცებსაგით დატყვე-ვება და შორეულ ადგილებში გადასახლება, ექსარხოსმა შარ-შან მთელი კრებული სამღვდლო პირთა კახაკებს გაამართა-ხებინა, სინოდმა მუქარის „უქაზებს“ მოუხშირა და ქართველ ეპისკოპოსებს უდაბნოში დატყვევებასაც უქადაღა. სინოდს ესაპირობა, განსაკუთრებით ჩვენისთანა „განაპირა ადგილას“, მისგან დამოკიდებული ეკლესია და ანაფროსანი ჩინოვიკე-ბი და ამიტომ სასტიკ რებრესიებს ხმარობს ქართველ სამღვდ-ლოების წინააღმდეგ. იგი ისევ ძველებურად განაგრძობს თავის აგენტ ექსარხოსების დანიშნას და ყურადღებას არ აქცევს ადგილობრივ სამღვდლოების მოთხოვნილებას. ამ უკანაწელ დროს მან ექსარხოსად დანიშნა ვილაც ნიკონი, რომელიც აგვისტოს პირველ რიცხვებში აპირობს ჩვენში მობრძანებას და ურჩ მღვდლების მოქციანებას.

რას იზამს ქართველი სამღვდლოება? შეურიგდება ძველ წესწყობილებას, თუ განაგრძობს ისევ ბრძოლას? ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, რომ იგი კვლავაც ოპოზიციონერად დარჩება და სინოდის გამათხსირებელ ყმობას არ შეუ-ივდება. მართალია, ავტოკეფალიის საკითხი არ გადაწყდება, ვიდრე რუსეთში აწინდელი ბიუროკრატიული წესწყობილება არ მოისპობა და მოქალაქობრივი თავისუფლება არ დამყარდება. მაგრამ არა-ვითარი თავისუფლება უბრძოლველად არ მოიპოვება და ამი-ტომ აწი კიდევ უფრო მართებს სამღვდლოებას ბრძოლის გაცხოველება და სინოდის წინაშე ფარხმალის დაუყრელობა. მან უნდა გააძლიეროს თავის წრეში სოლიდარობა და ერთსუ-

ლოვანის პროტესტით შეხედეს სინოდის ყოველ განკარგუ-ლებას, რომელიც მისი მოთხოვნის წინააღმდეგ ჩაქნება ერთ-ერთ საშუალებად ექსარხოსების ბოიკოტიც გამოადგება. ჩემ-ბერს, რომელიც; ახლა აპირობს მოსვლას, სამღვდლოებამ უნდა დაანახვოს, რომ მას აქ საქმე არა აქვს და საქართველოს სამღვდლოებას თვითონ სურს ხალხთან ერთ დ საეკლესიო საქმეების მოგვარება. მასთან ყოველგვარ კავშირისა და ურთი-ერთობის გაწყვეტა აიძულებს ექსარხოსს მალე ისევ ჩრდი-ლოეთის გზას გაუდგეს, და ასეთივე გაბარგება დასჭირდება იმ ახალსაც, რომელსაც სინოდი ახლანდელის ადგილას დანი-შნავს, თუ აქაური სამღვდლოება ერთმანეთში პირიანად იქნება და მასში არ აღმოჩნდება ისეთი, რომელიც შერი-სხულ ექსერხოსებს ჩუმად უკანა კარებიდან ესტუმრებიან.

— ბოიკოტი, მაშაო! — ვუთხარით ჩვენ ამას წინად ერთ მღვდელს, რომელიც ამ საგანზე გველაპარაკებოდა.

— ბოიკოტი, მაშაო! — გაუუმოკრებთ დღეს ყველას...
ფ. გოგაჩაიშვილი.

სანხოკლე სათათბირო

ახლად დათხოვნილ სათათბიროს შესახებ ზოგიერთები წინათაც საყვედურს ამბობდენ, იგი საქმიანობას გვერდს უხვევს და ლაპარაკის მეტს არაფერს არ აკეთებსო. ამასვე იმე-ორებს თავის უკანასკნელ ბრძანებაში ხელუწიფეც და ამით ცდილობს გაამართლოს სათათბიროს დათხოვნა. მართლაც, ხალხს ერთის მხრივ ახლანდელ მთავრობის წარმომადგენელთა თვითნებობით და მეორეს მხრივ სარევოლუციო ბრძოლით აწეწილ ცხოვრებაში წესიერების ჩამოკლება სწყურია. დღემდის რუსეთში გაბატონებულმა „ბიუროკრატია“ საქმით დაამტკი-ცა, რომ მას ხალხის საქარობათა არა ესმის რა და მათ შესაფერ კანონმდებლობის შექმნა არ შეუძლია. ამ „ბიუროკრატის“ ხელში ყოველი სახელმწიფო დაწესებულება ხალხის დამო-ნებას ემსახურებოდა ზ ხალხის ფული მთავრობასთან დაახლო-ვებულ პირთა გასამდიდრებლად მიდიოდა. ყოველივე უფლება მოკლებული, ადმინისტრაციის თვითნებობით დაღლილი, გადა-რიბებული და თითქმის უკიდურესობამდის მისული ხალხი დარწმუნდა, რომ საჭიროა არსებულ სახელმწიფო წყობილების ძირითადი შეცვლა და მართა-გამგებობისა თუ კანონმდებლო ბის საქმეში რამე წესიერების შემოღება.

სათათბიროს ხალხის დასახლებულ სურვილის განხორცი-ელება უნდა ეისრა ზ შეძლებისდაგვარად ხელი შეეწყო კანო-ნიერების დამყარებისთვის და მმართველთა აღვირწახსნილი თვითნებობა მოესპო, რადგანაც მთავრობის მოხელეთა ძალ-მოპრობა ხალხის მხრივ სამაგიერო ძალადობას იწვევს და კანონის დამცველთაგან კანონის დარღვევა ხალხში სპობს ამავე კანონისადმი ყოველივე პატივისცემას. ხალხის დიდი ნაწილი სწორედ ამ თვლით უცქერდა სათათბიროს და თვით მისი „გარევიოლუციონერება“ ამავე მიზანს ემსახურებოდა, რადგანაც რა საჭიროა რევოლუცია, თუ არა სამართლიანო-ბისა და წესიერების დასამყარებლად იქ, სადაც არსებული ცხოვრება მხოლოდ ხალხის უსახლგრო დამონებისა დაგაცლე-ფის სურათებს გვიჩვენებს.

ცხადია, რომ ხალხს გული გაუტყდებოდა სათათბირო-ზე, თუ იგი თავის ხსენებულ დანიშნულებას გადაუხვევდა, და ხელმწიფეც სათათბიროს დათხოვნის მანიფესტში სწო-რედ ამ მხრივ ცდილობს სათათბიროს სახელის გატეხას. სა-

თათბიროს ხანმოკლე მოღვაწეობა გარეშე ადამიანის თვალში, მართლაც, თითქო მოკლებული არის რეალურ ნაყოფს, რადგანაც 27 აპრილს შემდეგ სათათბირომ მხოლოდ ერთი „კანონი“ გამოცა, — დამშუღლთათვის 15 მალიონი მანეთი გადასდო. მაგრამ ყველასთვის, ვინც ცოტაოდნად მაინც უკვირდება რუსეთის ახლანდელ ვითარებას, ცხადია, რომ სათათბიროს საქმიანობა და სამსახური მხოლოდ ამ „კანონის“ გამოცემით არ გამოხატულა. და თუ გვინდა ხალხისაგან არჩეულ წარმომადგენელთა მოქმედების დაფასება, გავკრიტიკოთ მაინც უნდა გადავივლოთ თვალი იმას, რაც გაკეთებულა სათათბიროში 27 აპრილს, ე. ი. სათათბიროს გახსნის შემდეგ, 9 ივლისამდე, როდესაც ხელმწიფემ მისთვის არა სასიამოვნო სათათბირო „გარეკა“.

სათათბიროს არსებობა 2 თვეს და 11 დღეს გაგრძელდა. ახლად შეკრებილმა სათათბირომ ერთხმად მიიღო ხელმწიფის სტფე-სიტყვის საპასუხო ადრესი. ამ ადრესში მოკლედ გამოხატა თავისი პროგრამა და საქიროდ სცნო საყოველთაო საარჩევნო უფლება, სხვა და სხვა ძირითადი პოლიტიკური თავისუფლება, მინისტრების პასუხისმგებლობა, აგრა-რულ და მუშათა საკითხების გადაწყვეტა და ეროვნულ საკითხის მოწესრიგება.

მთავრობა იმ თავითვე მტრულად დაუხვდა სათათბიროს რე მის დამცირებას ცდილობდა. ეს სურვილი განსაკუთრებით გამოაშკარავდა, როდესაც სათათბიროს ნება არ მისცეს, რომ საპასუხო ადრესი არჩეულ კომისიას ხელმწიფისთვის პირადად გადაეცა. ამით თითქო უნდოდათ ეჩვენებინათ ხალხისთვის და მის წარმომადგენელთათვისაც, რომ ხელმწიფეს და სათათბიროს გარდა არსებობს მესამე ძალა, ხელმწიფის ახლობელი ჩინოვნიკობა, ურომლისოდაც ხელმწიფეს და სათათბიროს ერთმანეთის ნახვა და ერთმანეთთან ლაპარაკიც არ შეუძლიათ.

ამასვე ამტკიცებდა ის გარემოება, რომ ხსენებულ ადრესზე სათათბიროს პასუხი ვასცა ისევე ამ ჩინოვნიკობამ და არა ხელმწიფემ. 13 მაისს სამინისტრომ ხალხის წარმომადგენლებს წარუდგინა თავისი ცნობილი „დეკლარაცია“, რომლითაც საპასუხო ადრესში სათათბიროსგან ჩამოთვლილ სხვა და სხვა ზემოთ აღნიშნულ საკითხებს უარპყოფდა და მათ დაკმაყოფილებას ყოვლად შეუძლებლად აცხადებდა. ეს დღე — 13 მაისი — სათათბიროს ხანმოკლე არსებობაში მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც ამ დღეს მხოლოდ გამოირკვა ორივე მოწინააღმდეგე — სათათბიროსი და სამინისტროს — პოზიციები. სათათბირომ უნდობლობა გამოუცხადა იმ სამინისტროს, რომელიც სხვა თვალთ უყურებდა რუსეთის ახლანდელ მდგომარეობას. ასეთი „უნდობლობის“ გამოცხადება ყველა საკონსტიტუციო სახელმწიფოში ჩვეულებრივი და სრულებით კანონიერი მოვლენა არის. იგი აუცილებელიც არის, რადგანაც არ შეიძლება წესიერად მიდიოდეს სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმე იქ, სადაც პარლამენტი და მის გადაწყვეტილებათა აღმასრულებელი არსებობდა ერთმანეთის მოწინააღმდეგენი არიან. „უნდობლობის“ გამოცხადება, სამინისტროს სამსახურიდან გადადგომა მინისტრებისთვის დამამცირებელი და შეურაცხყოფილი არ არის, — დასავლეთ ევროპაში მაინც, — მაგრამ რუსეთში გორემიკინის სამინისტრომ იგი თავისთვის დამამცირებლად სცნო და გადადგომაზე უარის გამოცხადებით ის სუსტი ხიდიც ჩასტეხა, რომელიც მას აერთებდა სათათბიროსთან.

ამ დღის შემდეგ სამინისტრო აშკარად ეწინააღმდეგებოდა სათათბიროს და სათათბიროც აშკარად ეწინააღმდეგებოდა სამინისტროს. სათათბიროს წევრები თავიანთ „უნდობლობას“ თან და თან უფრო გადაჭრით ამბობდნენ და სამინისტროს ბოლოს ნამდვილ დამამცირებელ უნდობლობას ეუბნებოდნენ, — წინეთ თუ „უნდობლობა“ საკონსტიტუციო ტერმინი იყო, ბოლოს იგი გამახატავდა სამინისტროსადმი უსაზღვრო ზიზღს, შეურაცხყოფელს, ადამიანის დამამცირებელს. თავის „უნდობლობის“ გასამართლებლად და არსებულ სამინისტროს შეუწყნარებლობის დასამტკიცებლად სათათბიროს წევრები თითქმის ყოველ დღე „შეკითხვებს“ აძლევენ მინისტრებს და ამ შეკითხვებით ააშკარავებდნენ რუსეთის სხვა და სხვა კუთხეში მთავრობის დაბლ და მაღალ წარმომადგენელთაგან ჩადენილ ათასგვარ შემადრწუნებელ სისამაგულს.

სამინისტრო, სამაგიეროდ, სათათბიროს საქმიანობას უძნელებდა. ეს ხელის შეშლა წინდაწინვე მოფიქრებული და განზრახული იყო. სიკვდილოთ დასჯის მომსპობ კანონპროექტის საქმეში ეს განზრახვა ყველასათვის ცხადი შეიქმნა. რაკი შეკითხვებით სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ბრძოლა უნაყოფო დარჩა, ამიტომ სათათბირომ საჩქაროდ შეიმუშავა და წარადგინა შესაფერი კანონპროექტი, რომელიც მოკლედ და გადაჭრით აცხადებდა სიკვდილით დასჯის მოსპობას, — მინისტრებმა კი ეს სათათბიროს დაქარება არაფრად ჩაადგეს და, თუმცა კანონპროექტს დიდი მოფიქრება და გარკვევა არ დასჭირდებოდა, გამოაცხადეს, — კანონი ჩვენ შეგვიძლიან ერთის თვის განმავლობაში გააჩვენოთ პროექტი მის გასაცნობად და ჩვენც პასუხს ერთის თვის შემდეგ გამოვიცხადებთო. მართლაც, საქმე ერთის თვით გადაიღო და ამასობაში კი მთავრობის ბრძანებით მის მოწინააღმდეგეთა ხოცვა არ ისპობოდა.

სამინისტროსგან სათათბიროს ობსტრუქცია ნათლად გამოიხატა სიკვდილით დასჯის შესახებ შეკითხვებში. ჯერ ყველა მინისტრი უარობდა მათ მიღებას, შემდეგ გამოაცხადეს, ჩვენ არ შეგვიძლია სამხედრო სასამართლოს განაჩენების შეცვლა, ბოლოს ყურადღებაც არ მიაქციეს შეკითხვას და განგებ გვიან მიიღეს იგი, რომ დაექარებინათ განაჩენის სისრულეში მოყვანა.

სათათბირო პირდაპირ საკანონმდებლო საქმესაც არ იეიწყებდა. სიკვდილით დასჯის კანონის გარდა მან შეიმუშავა რამოდენიმე კანონპროექტი, როგორიც არის, მაგ., პრესის და კრებების თავისუფლების შესახებ, წოდებათა გათანასწო-რების შესახებ და სხვა. მთელი ორი კვირა მოანდომა მან აგრარულ საკითხის გარკვევას და, ხანგრძლივ კამათის შემდეგ, მიიღო კერძო მამულების შესყიდვის პრინციპი, რომელმაც სასეებით უნდა შესცვალოს აგრარულ საკითხის მდგომარეობა რუსეთში. ყველა კანონპროექტი და სათათბიროს ყოველი გადაწყვეტალება ცალკე კომისიებში გადადის ხოლმე და ეს კომისიები მთელ შავ მუშაობას კისრულობენ. სათათბიროში 15 ასეთი კომისია უკვე იყო. ამ კომისიებს დასრულებული ჰქონდათ მუშაობა პიროვნების ხელუხლებლობის შესახებ და საამისო კანონპროექტი ამ მოკლე ხანში უნდა განებოდა სათათბიროს. ზოგიერთ კომისიებში გადაცემული საქმეები ორიოდ დღეში უნდა დასრულებულიყო.

ამაირად კანონმდებლობის საქმე სათათბიროში დავიწყებული არ ყოფილა. მაგრამ ეს „კანონმდებლობა“ თავის თა-



ვად სახელმწიფოში წესიერებას ვერ შემოიტანდა და ვერ დააკმაყოფილებდა ხალხს, რომელიც სათათბიროსაგან მოვლელადა ახლანდელ ადმინისტრაციულ და სამხედრო ძალმომრების მოსპობას. ეს კანონმდებლობა უსარგებლოდ ჩაივლიდა ხალხისთვის, კანონის აღმასრულებელი ახალ კანონების პრინციპიული მოწინააღმდეგე იყო იქნებოდენ და სახელმწიფო მართვა-გამგეობის უმაღლესი წარმომადგენელი, — სამინისტრო, — კანონის დარღვევისათვის პასუხს თუ არ აგებდა ხალხის წარმომადგენელთა წინაშე.

ამნაირად სათათბირო კრიტიკულ მდგომარეობაში იყო: ერთის მხრივ ძველ წესწყობილების წარმომადგენელი მას ეუბნებოდენ, — კანონმდებელ და სახელმწიფოს ახლანდელ ცხოვრებაში ნუ გაერევა, — ცხოვრება ზე ხალხის ახლანდელი მდგომარეობა კი სწორედ საქმეში ჩარევას ითხოვდა და ამ სათათბიროსაგან წესიერების დამყარებას გამოეყოლა. სათათბირო პირველ გზას რომ დასდგამოდა და ყური არ დაეგდო ხალხის გულიდან აღმომხდარ კვენისისთვის, — ამით იგი ხალხს დაჰკარგავდა და მისი შრომაც უწყაყოვოდ ჩაივლიდა, რადგანაც უკანონობას ჩვეული სამინისტრო სათათბიროსაგან მიღებულ კანონებსაც სისრულეში არ მოიყვანდა. მეორე გზაზე დადგომით კი სათათბირო მთავრობას ვადაიკიდებდა.

სათათბირო მეორე გზას დაადგა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც 8 ივნისს შინაგან საქმეთა მინისტრი ადმინისტრაციას „პაგრომებში“ ამართლებდა და სათათბიროს კანონიერებას ჰპირდებოდა. შინაგან საქმეთა მინისტრის თანამეგობარ ნამყოფმა და ახლა სათათბიროს წევრმა, თავ. ურუსოვმა ამის საპასუხოდ თავისი შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა ზე დაამტკიცა, რომ ოფიციალურ მთავრობას გარდა რუსეთში არა ოფიციალური მთავრობაც არსებობს, — მთავრობასთან დაკავშირებული რაღაც იდუმალი ძალები, რომლებსაც თვით სახელმწიფო სამსახურში მყოფი მოხელეებიც ემორჩილებიან, — რომ, ამიტომ, შეუძლებელია კანონიერებაზე ლაპარაკი, სანამ ეს იდუმალი ძალები არ მოისპობა და მათ გავლენას ბოლო არ მოეღებო.

8 ივლისს შემდეგ სათათბირო ამ იდუმალ ძალებს ებრძოდა. ამ ბრძოლის დაწყებით მან თავის არსებობასაც ძირი გაუთხარა. ეს ბრძოლა „შეკითხვები“ ხდებოდა, ამ ბრძოლის გამოხატველი იყო სამხედრო ბრალმდებლის პავლოვის სათათბიროდან ლანძღვა-გინებით გავდება, ამ ბრძოლის ემსახურებოდა სათათბიროს კომისიის მიერ ბელოსტოკში „დარბევის“ გამოძიება. სათათბირო ამით საკაბინეტო შრომას თავს ანებებდა და ხალხში გამოდიოდა. სათათბირო ცდილობდა ახალ კანონებისთვის ნიადაგი მოემზადებინა და ავახაკ-მოხელეების მაგივრად კანონის აღმასრულებელი მოხელეები დაეყენებია. სხვა იარაღი რომ არ ჰქონდა, იგი ზნობრივ ძალას ხმარობდა და ეს ძალა იმდენად შესამჩნევი გამოდგა, რომ ხელმწიფე მზად იყო დაეთმო ხალხისთვის და სამინისტროში ხალხის ნდობით აღჭურვილი პირები მოეწვია, როდესაც იდუმალმა ძალებმა ისევ იჩინეს თავი და ახალ სამინისტროს შედგენის მაგივრად ხელმწიფეს თვით სათათბირო დათხოვნინეს.

რუსეთის პირველ პარლამენტს — სათათბიროს — განსაკუთრებულ პირობებში არსებობა მოუხდა და ამიტომ მისი საქმიანობა ევროპის პარლამენტების საქმიანობას არ წააგავდა. ევროპაში „შეკითხვები“ და „უნდობლობა“ იშვიათია, რადგანაც იქ იშვიათია თვით სახელმწიფო მოხელეთაგან კანონის დარღვევა ზე ძალმომრეობა. რუსეთში კი ეს ძალმომრეობა

ბა სახელმწიფო მართვა-გამგეობის უმაღლეს პრინციპულ მოწინააღმდეგეა და ამიტომ დღე არ გავიდოდა ისე, რომ სახელმწიფოსათვის „შეკითხვითი“ და „უნდობლობის“ გამოცხადებით კიდევ ერთხელ არ გავხსენებია მთავრობისთვის, რომ ძალადობა ხალხში მშვიდობიანობას ვერ დაამყარებს და ხალხს მის დამმონებელ ძალებს არ შეაყვარებს.

რუსეთის სათათბიროს საქმიანობას წინ გადაეღობა ძველ წყობილების მომხრე სამინისტროს წინააღმდეგობა და სათათბიროს მთელი ძალა უნდებოდა ამ სამინისტროსაგან ამართულ ახალ დაბრკოლებათა დაძლევის და დროს დაკარგვის იქ, სადაც ყოველი დღე ძვირფასი იყო და სადაც საქმის დაგვიანება ზრდიდა ხალხის უკმაყოფილებას და ყოველივე ძალმომრეობისათვის ნიადაგს ჰქმნიდა.

სათათბირო დათხოვნილია, — ამ დათხოვნას ხალხი, პირველ შეხედვით, გულგრილად დახვდა. მაგრამ ეს გარეგანი გულგრილობა მომეტყვილებელია. შეიძლება ხალხმა სათათბიროსათვის თავი არ გამოიღვას, მაგრამ აშკარა კი არის, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლაზე ხელის აღება ერთხელვე გამოფხიზლებულ ხალხს არ შეუძლია. ნამეტანი მოულოდნელი იყო ხალხისთვის სათათბიროს დათხოვნა და ამიტომ მან ამაზე შესაფერი პასუხი ახლავე ვერ გასცა მთავრობას. როგორ, რა სახით გამოიხატება ეს პასუხი, ამას მომავალ გვიჩვენებს. ცხადი კი არის, რომ საშინელ ამბების დანახვა მოგვიხდება და მომავალ ბრძოლაში ორივე მოწინააღმდეგე მთავრობა და ხალხი — დიდ სისასტიკეს და დაუნდობლობას გამოიჩინენ.

ს. მ — ლი.

პატარა შიშრები

ყოველ კრისა და სახელმწიფოს ისტორიაში ხშირად უფადასა მკვლევარი, როცა ამა თუ იმ წინს მთელი თავისი ძალადონე, ახლავს დაბა, ნიჭი და წინადა ბუნებურება თავის კრისთვის შეუწირავს, მაგრამ კრის ჯერ აუღია მისგან უფლაფერა, რის აღება კი შეიძლება, და შერე სრულიად ოავი მიუნებება მისთვის. ხშირად უფადას ისეთი მკვლევარები, როცა ხალხს ვერ გაუგია ახრი და სურდელი თავის წევრის და სამომხლოდ კანუდგენის იგი. გახსენეთ თუნდ დიდებული კოლუმბი, რამელამდ თავის აღმჩენით კატორბაბის ისტორიის მიუღებლბა ანსუბითად შესრვლას და რამელიც ისე დაშრჩეს, რომ მისი კუბას ერთი მუჭა ხალხი მისდგუდა უკან. ესნაინის მმართველებმა ჯერ ხელათმანით გასრვითეს დიდებული გეიასის და შერე რდაც კურსულში მიავდეს მშერ-მწერდადი. გახსენეთ ბაიბანი, მუდლი და ხხვანასის დგენილი, განდგენილი, სბერის დრას მიავწებული, ჩაკვრით მათ ბედ-იღბასს და უუკვლად იმ დასკენსმდის მიხვდით, რომ საზოგადოებას ხშირად შეუბრადებელი ექსპლუატორის თავი ნიჭიერ წევრებისა. ჩვენ უფლანი მუდამ ერთს და იმავეს ვიშორეთ, რომ კანმა საზოგადოებას უნდა შესწიროს თავი, რომ უფადას წევრს საზოგადოების მოვლა საზოგადოების წინაშე, რამელამდ ის აღზარდა, რომ უფადას ანდავიდუმა არაფერს ნიშნეს გაკუე ხალხისა და სხვა და სხვა. კეთალი და მატოისანი, მაგრამ ერთი ვივითხთ: მოვლა თუ არა საზოგადოება თავის წევრების წინაშე უუკვლად, მოვლა უნდა ეუას, რადგან უფადას საზოგადოება წევრებისგან შესრვება.

მაგრამ ამგვარ მოვლემის ჩვენს საზოგადოებას სრულად არ სჩნობს, იგი გულგრილად და უმანწილად შესრქერის მის საუკეთესო შეილთა ბედ-იღბასს, რომელნიც მუდამ მისთვის იდგუა-

დენ და მუშაობდნენ. რომ ეს ასეა, ამას გვიტყვიან შემდეგი მკვლევარები.

ქართულ ერს ჰყავდა ერთი წყვრი. სახელი მისი — ვლ. ალექსი — მესხაშვილი, არტისტი ფრანგ ნიჭიერი და განვითარებული. ერთ დროს ის რუსულ სცენას გამსახურებდა, მუშაობდა, მრთობდა და თავის წვლადი მ. ქეჩიძის „სახოცადობისადმი მოვლუბის“ საკუროსტეველზე. ეს საზოგადოება — რუსის საზოგადოება, — უკვლავია. მას გრავად გადაუხდია სამსახურს და დაფასებდა თავის მუშაობის მოღვაწეობას. მაგრამ ვლ. მესხაშვილმა სხანაირად იფიქრა და სხვა გზას დაადგა. მან თავი მიანება მსთვის უცხო საზოგადოებას და დუბურდა სამშობლოს. მან იმ თავითვე გრავად იცოდა, რომ ქართული სცენა რუსულ სცენასთან შედარებით დარბილი იყო და ისე ვერ დაფასებდა მის ღვაწლს, როგორც რუსული სცენა. მაგრამ მან ამის უურადღებო არ მიაქცა და მთელი თავისი ძალდენი, სხადკახლობა, მიმავალი და იმედი მიმავალი სცენას შესწირა მისხვედრად. მან სკუთარ ხედიტ გამსკრა ეელი ქართულ ხელოვნების საკურთხეველზე თავის იმედსა და მიმავალს დეგონ, რომ მისი შრომა ოდნე მანდ დაფასდებოდა. ქართველმა საზოგადოებამ შესაფერად დაფასა მესხაშვილის ნიჭი, მაგრამ რით გადაუხდა მას ვაღი? დაუსრულეულ ტამის ცემით თეატრში, დაუსრულეულ ქება-დიდებით ზრესსაში, სლანსებში და ქურსაში. მაგრამ განა ადამიანს გაძდობს და გამოჰკვებავს მარტო ოცნებები, მანეთიანი სახეურები, ვასთხვარ ქლები ოხვრა, რეცნისერტის ქება და სლანსებში იმის ნიჭზე მსლდათი? საინტერესო ვიცოდეთ, რას ამბობს დღეს ჩვენი საზოგადოება იმის გამო, რომ მისმა სსუვარემ მსახიობმა ქართულ სცენას თავი დანება დი ისე რუსულ სცენას დაუბრუნდა? რას ამბობს ეს საზოგადოება იმის გამო, რომ მან ვერ მოახერხა თავის სსუვარად არტისტის გამოკვეთვა, ვერ მოახერხა მისი შენახვა და ქონებრივად უბრუნეველყოფა? მე ამ ვითხვას ვაძლევე ქართულ საზოგადოებას, მოელ ქართულ ერს, რომელიც მესხაშვილით ამყობდა. ნუ თუ ჩვენ მართლაც ისე დაუძლეურებული ვართ, რომ ჩვენს სსიქადულთ შეიდეგის სიბერემდის შენარჩუნება არ შეგვიძლია, ვისაც ვერ ვაძლევე ძალა შესწევს, უცხო საზოგადოებას უნდა შეეხიზნოს, და ვისაც ძალა ადარ შეჩენია, შიშოდით უნდა ამხედეს სულთ? და ასეთ ვარემობაში განა უნდა გვივიდრეს, რომ მუშაობი არ ჩნდებიან საზოგადოებრივ სსხარეხეში?!

**

ერთი ჩემი ნაცნობი შეკითხება: ვინ მოახდენს დღევანდელ რევოლუციას რუსეთში, ცენტრი თუ განაზიარ ქვეყნები?

ეს ვითხვა მართლაც შეტად საინტერესოა: ვინ მოახდენს რევოლუციას, ზეტურბურგი თუ ზაღანეთი, კავკასია, ციმბირი თუ სამხრეთი რუსეთი? ზეტურბურგმა უნდა დაიხსნას განაზიარ ქვეყნები, თუ განაზიარ ქვეყნებმა ზეტურბურგი?

ისტორიას რომ მივმართოთ, დაინახავთ, რომ უმეტეს შემთხვევაში რევოლუციას ცენტრი ახდენდა. 1789 წელი ზარიზის ეკუთვნის. 1848 და 1871 წლების რევოლუციებიც განსაკუთრებით ზარიზის მუშა ხელის საქმე იყო. 1848 წელს კერმანიისა და ავსტრიის ზოლიტურ ცხოვრების ჩარხიც ბერლინი და ვენაში გადმოატრიალეს. აგრებულ აზნებისა ძველ რომში მხლოდ რომის ზღებებიც ახდენდნენ. მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში ცენტრის რევოლუციას სატასტო ქაღაჩის კედლებს სცილდებოდა და სამოქალაქო ომს იწვევდა. ასეთი სამოქალაქო ომი გამოწვევა, მაგალითად, ზარიზის გამოშენამ 1871 წელს.

ასეთ ზასუხს იძლევა ისტორია და ასეთსავე ზასუხს იძლევიან ცენტრალისტები, რომელთაც დიდი იმედი აქვთ ცენტრისა. ისინი

მხოლოდ იმას ელან, რომ რევოლუციონერებმა რომელიმე ცენტრში ჩივდონ ხელში, ხალხი დნ რჩენი თავის თავად მსხვერპლად მიჰყვანა. მკრამ ერთი ვიკათხით, რა ვაკეთოს დღემდის ზეტურბურგმა რევოლუციისთვის? სრული დ არაფერი. ზოგი 9 ანხ რს მოკვავანებს, მაგრამ ესლს ვეკლასთვის ცხდათ, რომ 9 ანხ რს რევოლუციონერი აქტა არ იყო. იგი რევოლუციონერ აქტად ვადიქტ მხოლოდ სტიქიურად და ძალუნი ურად. ზეტურბურგმა რადღენიმე ასი ათასი მუშა და წვრილი მესაკუთრება, მაგრამ დღემდის მათ ხელიც არ გაუძრევიათ. დღემდის ზეტურბურგო იყო ცენტრი ინტელიგენტურ მოძრაობისა და ცხდათ, რომ შემდეგობაც ბიურველობა მს ქეჩება, მაგრამ ეველმ ვიციტ, რომ ინტელიგენციას არსდროს არ მოუხდენია რევოლუციას და ვერც მოახდენს. ჩემს აზრით განაზიარ ქეჩება უნდა იხსნან ზეტურბურგო და არა ზეტურბურგმა განაზიარ ქვეყნები. ზეტურბურგის უმთქმელობას ზოგნი იმ თხნან, რომ ეს ქაღაჩი ბიურკრატის ბუდე, მოლად ბიურკე ატიულ ელემენტებით არის დასახლებული და ამიტომ იქ ზომიერი და შემარჯვენი ელემენტები სჭარბობენ მმარცხენებისა. ეს ზასუხი არ არის. განა ზარიზი 1789, 1848 და 1871 წლებში ბიურკრატის ბუდე არ იყო? გან იმე 1848 წელს ენა და ბერლინი „ზომიერ ელემენტებით“ არ იყვნენ დასახლებული? რით განიჩევა ზეტურბურგო ზარიზისგან და ბერლინისგან ამ მხრით? არაფრით არ განიჩევა, მაგრამ მიზეზი მისი უმთქმელობისა? ზაგნა ამბობენ, მიზეზი ეს არის, რომ ზეტურბურგმა ბერლინ ზარიზად არც ეს არის ზასუხი. ვარს ვაში და ტფილისში შედარებით ზეტურბურგთნ ცაცლებით მეტ ზარიზა, მაგრამ ორივე ქაღაჩის ქეჩები სსამად მოიწყო მუქძალთა სსხლათ. მეორენა ამბობენ, რომ ზეტურბურგის ინტელიგენციამ ხელში ჩაიგდო მოძრაობის სდავე და მუშების აქტიურ მოქმედებას ნებას არ აძლევს. ასეთი მისახრება ახლაც ზასუხთან, მაგრამ მანდ ზასუხი არ არის. ვარსავის ინტელიგენცია ზეტურბურგის ინტელიგენციას არ ჩამოუვარდება, მაგრამ იქ მანდ უკადურსო ელემენტები ბატონობენ.

მაშ სსად არის ნამდვილი მიზეზი? რც მე ვიცი. მე შემძლო მ ზეზად ზეტურბურგის მუშა ხსლხის შეუგნებლობა დამესახელებინა, ან ჩრდილოეთთ ტემპერამენტით ამესხნა, მაგრამ ვეძინობ, რომ მარტო ეს არ უნდა იყოს მიზეზი ცენტრის მოდუნებისა და ამიტომ სსკათხის ვადწვევტას მეტხველს მივანდობ.

**

ამ რძღენიმე დღის წინად „შრომის“ რედაქციის მახლობლად ერთი ნაცნობი თვადი შემხვდა. მას უკან სსხა რამდენიმე თავად-აზნური მოსდევდა. ეველანი ჩასლანები და ხსმე შესული არიან. დაეკითხე, სიადან მოდხნოთ მეტქი.

- უსაქმოდ დარჩენილთა ბიურკრატს.
- რა ვინდოდათ ბიურკრატში?
- სსქმე, სსმუშაო.

მე, ცოტა არ იყო, ვამივირდა. ვიცოდი, რომ ჩემი ნაცნობს ამ ერთი წლის წინად კარგი შედეგობა ქეჩნდა. სოფელში ცხოვრობდა ქონებრივად ჩვენიურ სსმულო მე ამუდეს არ დაუვარდებოდა და სკუთარი სსმანიც ეტლიც კი ქეჩნდა. ვიცოდი, რომ ამ თავადმა ვეკლავთერი ვაიდა, ვადტავად და ტფილისში დასხლდა, მაგრამ ის კი არ ვიცოდი, რომ 50 წლის მახეტი დღიურ სსმუშაოს ეტებს.

- მევე, რა ვაკეთებ ბიურკრატში? მოკრეს სსმუშაო?
- არ მომცეს. თავადიშვილი ხარ და შარშან მსე რაზმში იყავო. არა, ერთი თქვიან თვითონ მითხროთ, — სსწენის კილოთი შემომიხვდა ჩემმა ნაცნობმა, — რა შეუშია აქ ჩემი თავადიშვილობა და



შავი რაზმელობა? შარშან გამბრუნებს და რაღაც შავ რაზმში ჩამოთრავს. მე რა ვიტყვი, რომ საქმე ასე დატრიალდებოდა? მე ასე მეგონა, შავი რაზმი სასარგებლო მოგონებს ან მითი და ჩავეწერე. მერე კი, როცა დავრწმუნდი, რომ რაზმს ენების შეტე არაფერი მოაქვს, ისევე გამოვეწერე და მჭუღს დავუბრუნდი, მაგრამ ვიღამ მხდა! ვეკლავიერე გაუიღო და ცარიელსე დავჩნა. რა უნდა ვუყო ხუთ შვილსა და ცოლს? რით ვცხვავრ? ამბობენ, თავად-სახვარობა გუხვლადაკრეფელი ზის და ელას იმ დროს, როცა ძველებურად სხვის ვისერსე ჯდომს შექცებათ. ბევრის ასეთი თავადიშვილი, მაგრამ ჩვენ რაღაც გვეჩნთ? გუშინ ხუთა მოჯამაგირე შეგდა და თითოს 15—20 მანეთს ვაძლევი თვეში, დღეს კი მე თვითონ ვეძებ 20 მანეთის ადგილს, მაგრამ მასუსად იმის მეუბნებიან, შენ თავადი ხარო. ანა, ერთი მითხროთ, რა შუაშია აქ თავადიშვილობა?

- რა შუაშია აქ თავადიშვილობა? გამოიწერე მერე.
- თავში იხლენ ჩემი თავადიშვილობა, — სთქვა მესამე.
- ნეტა შეიძლებაღეს გვარის გამოცვლა და წოდების მოსხმება.
- ანა, ჩემო ძმაო, აქედან ხეირო არ გამოვა. ჩვენც იმავე გზას უნდა დავადგო, როგორცაც ზოგიერთნი დააგებენ: ავიდეთ თაფი, გავიდეთ ტუქი და, ვინც შეაკვდება, გაყარვით. სხვა გზა არ არის. შვიდობით!

— შვიდობით! — დამიკრეს ეველამ თავი და ნაწეხნი და დადნებულნი თავიანთ გზას გაადგენ

ჩემი ნაწილი უკანვე გამობრუნდა და ეველი ამაწია:
 — თქვენი ჭირიშე, შიდათ იმ ბიურაში და სთხვეთ ჩემს მაგონად, რომ რაიმე საქმე მომეჩნ, თორემ ცდიშვილი დამხსნება შემოიდათ. აი, ესხა ჯიბეში სამი შურადა დამჩნა. ჩვენი სხადილი დღეს სამი შურის ზური და ცივი წყელი იქნება. მაგრამ სხად რაღა ვუყო? შიდათ და უთხროთ, რომ ის კაცი თავის დღეში ხალხის მტერი არ უთფიდათ, რომ რაზმში შეტდომით შევიდა და მადე ისევე თავი დანახებათქა.

მე ვუხასუსე, რომ ბიურაში არავის არ ვინცხ და რავათარა გაუქნა არა მამეს მეთქი. ჩემი ნაწილი უარესად დადნდა, თავი ჩაქინდრა, მერე უიმედოდ სელი ჩაქინა და მომშორდა...

ს — ლი.

სახელმწიფო


(პ. ლავროვისა)

თუმცა ყოველ საზოგადოებრივ პრინციპის იდეალიზაციით ბოროტად სარგებლობდნენ, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ამ მხრით ყველას გადააქარა სახელმწიფოებრივ პრინციპის იდეალიზაციამ. ამას, რასაკვირველია, თავისი ლოდიკური მიზნებიც აქვს. ფეოდალურ თვითნებობის, კათოლიციზმის თეოკრატიულ მისწრაფებათა და მმართველ პიროვნებათა ასალაგამავად ეს პრინციპი ჩინებული იარაღი იყო. ევროპის პროგრესიულმა პარტიებმა თავიანთ დრო მანე სწორედ ეს პრინციპი დააწერეს.

საშუალო საუკუნეებიდან გადმომავალ ხანაში სახელმწიფოებრივ პრინციპის დამცველი იურისტები და სხვ. შევილოდნენ ევროპის მეფეებს ფეოდალების, და კლერიკალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ბრძოლა სწარმოებდა მტაცებელ ძალთა შორის, მაგრამ სახელმწიფოებრივ პრინციპის იდეალიზაცია აფერადონებდა ლუდოვიკო მე-XI-ის, ივანე მრისხანის და მსგავსთა მათთა მოქმედებას, ბრწყინვალე შარავანდელით მოსავდა მათს დესპოტობას, როგორც სიკეთის დასამყარებლად

ხმარებულ საშუალებას. მე-XVII საუკუნის დამლევეს, როცა ლუდოვიკო მე-XI და სტიუარტები გაძლიერდნენ, სახელმწიფო პარტიებმა ფრახას: „სახელმწიფო შეიქმნა სახელმწიფოების ბირ დუყენეს მეორე ფრახა: „სახელმწიფო საზოგადო კეთილდღეობა“. აი აქ იშვა ბრძოლა „კანონიერ თვითნებობის“ წინააღმდეგ. აქვე თავი იჩინა ერთმა მოვლენამ: ცნება „სახელმწიფო“ ისეთი რამ აღმოჩნდა, რასაც ყოველნარი საზომი და განმარტება მიუდგებოდა. ეს ცნება ზოგიერთისთვის ნიშნავდა მთავრობის გაძლიერებას ხალხის კისერზე, სხვები კი ვიქრობდნენ, რომ მთავრობა სასტიკად შეზღუდულ უნდა იქმნას საქვეყნო საქმეებში ხალხის მონაწილეობის მიუღებთაო. ზოგნი თხოულობდნენ სახელმწიფოს გაძლიერებას გარეშე ქვეყნებზე გავლენის მოპოვებით; ბევრი იმ აზრისა იყო, რომ საქიროა სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილების დაკავშირება ადმინისტრაციის საშუალებით მექანიკურად, ერთგვარ კანონებისა და ცხოვრების ერთგვარ პირობათა ხელოვნურად შექმნა სახელმწიფოს მთლიან ტერიტორიაზე; სხვები კი ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფო უნდა წარმოადგენდეს ორგანიულ კავშირს ცოცხალ და საკმაოდ დამოუკიდებელ ერთეულებისას, რომელთაც უნდა აკავშირებდეს საერთო შეგნებული ინტერესიო. ერთი სიტყვით გაიზარა კამათი არა სახელმწიფოს დასაცველად ან მის წინააღმდეგ, არამედ იმის გამო, თუ რას უნდა წარმოადგენდეს ნამდვილი იდეალური სახელმწიფო. რომ სახელმწიფო დიადი საზოგადოებრივი პრინციპი იყო, ამაში აღარავინ ეჭობდა, დახვესებულ ფეოდალებსა და კლერიკალებს გარდა. გამარჯვება, რომელიც წილად ხედა სახელმწიფოებრივ პრინციპს საშუალო საუკუნეების ბარბაროსობაზე, ყველასთვის ცხადი იყო. ამ რიგად კონსერვატორები და პროგრესისტები, მონარქისტები და რესპუბლიკელები, წესიერების ხალხი და რევოლუციონერები, პრაქტიკები თუ ფილოსოფოსები, — ყველანი შეთანხმდნენ იმაში, რომ სახელმწიფოებრივი პრინციპი უმაღლესი პრინციპია, რომლის უფლება ყველა სხვა უფლებას აღემატება. მეცხრამეტე საუკუნის ში.თე წლებში სახელმწიფოს გადმერთებამ უმაღლეს წერტილამდე მიადწია და გერმანიის იდეალიზმის უკანასკნელმა წარმომადგენელმა — ჰეგელმა — ყველანე ცხადად აღიარა ეს გადმერთება.

მაგრამ ისტორიის მსვლელობის შეყენება შეუძლებელია და, აი, კრიტიკაც იკვლევდა სახელმწიფოს არსებობის ქეშმარტ აზრს. საზოგადოებრივ ცხოვრებაში პოლიტიკურმა ეკონომიამ აღმოაჩინა ისეთი რამ, რომელსაც ნამდვილ პოლიტიკისა არაფერი ეცხობა და უფრო ღრმა და ძლიერი გავლენა კი ჰქონდა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ბირყის გავლენამ პოლიტიკაზე ის ნაყოფი გამოიღო, რომ ეკონომისტების თეორიული მოსაზრებანი პრაქტიკის დაუმორჩილა. ეროვნულმა პრინციპმა სხვა მრავალთა შორის დიპლომატებს წინ დაუყენა თავისი უფლება ტერიტორიათა საზღვრების შესახებ და, აი, სახელმწიფოებრივი პრინციპიც ახალ კლავორტში ჩადგა. ბოლოს აღმოჩნდა, რომ თანამედროვე წყობილებას იმდენად არ ემუქრის პოლიტიკური ცვლილებები, რამდენადაც სოციალური. პოლიტიკურ პარტიათა მნიშვნელობას თან და თან განსაზღვრული აზრი ეძლეოდა ეკონომიურ კლასთა შორის არსებულ ანტაგონიზმის გამო, ამ დროს კონსერვატიულმა პარტიამ სახელმწიფოს სწორედ დათვის სამსახური გაუწია რადგანაც ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო გონიერებისა და მოსაზრების ნაყოფი კი არ არის, იგია ბუნებრივ-კულტურ-



რული მოვლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამით ფიქრობდნენ სახელმწიფოსთვის ზედმეტ ღირებულობის ღირსება მიეცათ და ნამდვილად კი მის იდეალისტურ მნიშვნელობას ძირს უთხრიდნენ, რადგანაც წმინდა ბუნებრივს და ყოველსავე საჭირო რამეს ცხოვრებაში ადამიანი ცდილობს მისცეს აზრი და გადაამუშაოს თანხმად ამ უკანასკნელის მოთხოვნებისა. აქედან იბადება კითხვა: უნდა დამუშავდეს თუ არა სახელმწიფოს ბუნებრივი მოვლენა ისე, რომ მასში ადამიანის გონიერებს მეტი ადგილი ჰქონდეს, ვიდრე ბუნებრივ მასალას?

ყველაფერი ეს გვაიძულებს ჩვენ კრიტიკულად განვიხილოთ სახელმწიფოებრივობის სათავე, ფარდა ახვადოთ მის ცრუ იდეალიზაციას, შევცვალოთ იგი ჭეშმარიტ იდეალიზაციაზე, ე. ი. მივიღეთ სახელმწიფოს ბუნებრივ საუბუღალმდე და გაეთვალისწინათ ის გზა, რომელიც ხელს შეუწყობს პრაგმებს; გამოვიკვლიოთ ის პირობები, რომელთა საშუალებით შეიძლება პიროვნების განვითარება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სიმართლის და ჭეშმარიტების განხორციელება.

სანამ ადამიანები ცხოვრობენ ერთად და მისდევენ ეკონომიურ, ზნეობრივ თუ გონებრივ მიზნებს, რომელთა განხორციელება თუ უარყოფა სრულს მათს ნებაყოფლობაზეა დამოკიდებული, ისინი შეადგენენ ერთ საზოგადოებრივ კავშირს, რომელსაც არაფერში ეტყობა იურიდიულ-პოლიტიკური ზედგავლენა. მაგრამ როცა ისინი ერთდებიან ხელშეკრულებით, რომელიც სავალდებულოა თითოეულისათვის, მაშინ ამ საზოგადოებაში იწყება ცხოვრების ახალი ხანა. ეს საზოგადოება შეჯაჭვულია იურიდიულად, თუ მიძღლებელი ძალა, რომელიც თვალყურს ადევნებს ხელშეკრულების ასრულებას, დგას ამ ხელშეკრულების გარეშე; ეგვემ საზოგადოება ხდება პოლიტიკურ საზოგადოებად, როდესაც თვით მასში თავს იჩენს ისეთი ძალა, რომელიც ამ საზოგადოების წევრთა აიძულებს ამ ხელშეკრულების ასრულებას: პოლიტიკური საზოგადოება ხდება სხეულმწიფოდ, როდესაც წევრთათვის სავალდებულო ხელშეკრულება სავალდებულო ხდება იმათთვის, ვისთვისაც არავის უკითხავს თანხმობა, ან ვინც იძულებით თანხმობას აცხადებს რომელიმე მოსალოდინელ საფრთხის გამო. სამეცნიერო საზოგადოება, ლეგალურ-კომერციული ამხანაგობა და საიდუმლო პოლიტიკური ორგანიზაცია—პირველი სამი ფორმის მაგალითებია.

ნათქვამიდან ცხადია, რომ სახელმწიფო ისევე ძველი მოვლენაა, როგორც პიროვნების იძულებითი დამორჩილება. და რადგანაც საზოგადოებაში ყოველთვის ბევრი იყო ისეთი პიროვნება, რომელიც გონებრივ განუვითარებლობისა, ცოდნის და ენერჯის უქონლობის გამო საჭიროებდა, რომ მისთვის ცხოვრების პირობები ეკარნახა უფრო გამოცდილ და მკოდნე პირებს, — ამიტომ სახელმწიფოებრივ წყობილების სათავე იმალება ადამიანთა პირველყოფილ ჯგუფებში და დღესაც შეზღუდული არაა მითი, რასაც საზოგადოების პოლიტიკური ორგანო ეწოდება. ყველგან, სადაც ადამიანი მოუსაზრებლად ემორჩილება მისგან არა არჩეულ ცხოვრების პირობებს, იგი ამით ემორჩილებას უცხადებს სახელმწიფოს.

პრინციპი სახელმწიფოებრივ ვალდებულობისა პირველ ყოვლისა გამოიხატება ერთი პირის მეორეზე ბატონობაში. შემდეგ იწყება დამოკიდება ეკონომიური და, ბოლოს, იდეალიზაციის საშუალებით ის ხდება ზნეობრივ ძალადაც.

მაგრამ სახელმწიფოს განვითარების პირველ საფეხურზე დღე ჩვენ ვხედავთ ხელშეკრულობის ისეთ ელემენტებს, რომელიც განსხვავდება ერთი პირის მეორისადმი უბრალო შორხილებისაგან. იქ ოჯახს განაგებს უფროსი, მას ემორჩილებიან წკრილი შვილები და სუსტი დედაკაცი და ეს ხდება არა სახელმწიფოებრივ ხელშეკრულობის ძალით, არამედ პირადი უპირატესობით. ამავე პირად გავლენის ძალით წინასწარმეტყველები განაგებდნენ მორწმუნეთა საქმეებს. სახელმწიფოებრივი ელემენტი ჩნდება ოჯახში, როდესაც არიან ოჯახის უფროსი წევრები, რომლებიც თუშეცა არ ემორჩილებიან ოჯახის უფროსს, მაგრამ შევლიან მას ბრძანებლობის და უფროსობის საქმეში. საზოგადოდ, სახელმწიფო ჩნდება მაშინ, როდესაც ჯგუფი, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ნებაყოფლობით მხარს უჭერს რომელამე დადგენილებას და სავალდებულოდ იხდის მას; ეგვემ დადგენილება სავალდებულო ხდება ამ ჯგუფსა გარეშე მდგომ პირთათვისაც, რომელნიც თავის ნებაყოფლობით არ მიმხრობიან მას. მაშასადამე, იძულებითი პრინციპს აქ ემატება ძალა ხელშეკრულობისა იმ განსხვავებით, რომ ხელშეკრულობის ასპარეზი უფრო ვიწროა, ვიდრე იძულებითი პრინციპისა.

ხელშეკრულობის ზნეობრივ-იურიდიული აზრი და მნიშვნელობა დამოკიდებულია ადამიანის პატიოსნებაზე, იმ ადამიანის, რომელსაც საზრიანად მიუღია თავის თავზე ამ ხელშეკრულობის ვალდებულება. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ ხელშეკრულობას სდებს მხოლოდ რამდენიმე ადამიანი და ის კი სავალდებულო ხდება სხვებისათვისაც, — მათთვის, ვისაც ამ ხელშეკრულებაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, მაშასადამე, არც რაიმე ვალდებულება აქვს. ხელშეკრულობის დადება ერთის პირისგან სხვების სახელით, რომელთაც არავითარი წარმოდგენაც კი არა აქვთ ამ ხელშეკრულობის ძალასა და მნიშვნელობაზე, და სავალდებულო კი ხდება მათთვის, ეწინააღმდეგება სამართლიანობის თვით ელემენტარულ მოთხოვნებსაც კი და, მაშასადამე, ეწინააღმდეგება პროგრესსაც. როგორ შეხედავდა რომელიმე იურისტი, მაგ., იმ ხელშეკრულობას ან პირობას, რომელიც სავალდებულოა მილიონი ხალხისთვის და ნამდვილად კი მის შედგენასა და დამტკიცებაში მონაწილეობა მიუღია მხოლოდ რამდენიმე კაცს, რომელთაც არავითარი რწმუნებაც კი არა ჰქონიათ არავისაგან! რამდენად სამართლიანი უნდა იყოს, მაგ., ხელშეკრულობის წერილი, რომელიც ერთ თაობას დაუდგია რომელიმე ძლიერ ორგანიზაციის წინაშე და ამით სავალდებულო გამხდარა შემდეგ მოდგმითათვის? იქნება თუ არა სამართლიანი, რომ შემდეგმა მოდგმამ ასეთი ხელშეკრულობა უარჰყო, თუნდაც ამ უარყოფას ძალაც და სისხლის დაღვრაც დასჭირდეს? ამგვარ ხელშეკრულებებში, რასაკვირველია, ნასახიცი კი არსადა სჩანს სამართლიანობის. ამ ხელშეკრულებას სახეში ჰყავს მხოლოდ ძლიერ ორგანიზაციის არსებობა ან ისეთ პირთა უმეტესობა, რომლისთვისაც ასეთი ხელშეკრულობა პირდაპირ ხელსაყრელია და რომელიც თავის ძლიერ ორგანიზაციის წყალობით აიძულებს უკმაყოფილო ელემენტებს დამორჩილონ ამ სახელმწიფოებრივ ხელშეკრულობას. გამოირჩევა სახელმწიფოს, ან შეასრულე სახელმწიფოებრივი ხელშეკრულობა, — ასეთია დიდი ე. ი., რომელიც წინ უდგას თითოეულ ქვეშევრდომს ამათუ იმ სახელმწიფოსას.



თუ უკმაყოფილოთა რიცხვი მცირეა, ეს დიღება საგონობელი ხდება მხოლოდ მათთვის: მათ უნდა განიცადონ თავიანთ თავზე საშინელ კანონების სისასტიკე, ციხეში გამოწყვედნა, ბორკილები და გადასახლებაც ამ კანონების აუსრულებლობისა ან მათის წინააღმდეგობისთვის. უკმაყოფილონი ხშირად თავის ნებითვე სტოვებენ სამშობლოს საზღვრებს. სანამ ამ უკმაყოფილოთა პარტია განცალკევებულ პიროვნებათაგან შესდგება, იგი ყოველთვის ძლეული იქნება.

მაგრამ, როგორც უკმაყოფილონი შეერთდებიან ერთ საზოგადოებრივ მოხარად ძალად და შექმნიან ორგანიზაციას, მაშინ ისინი თხოულობენ უკვე ანგარიშის გაწევას და არსებულ სახელმწიფოებრივ წყობილებასაც მათგან საფრთვე მოელის. ასეთი საფრთხე ორგვარია, — თუ უკმაყოფილონი სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე არიან გაფანტული ან მის უმთავრეს ცენტრებში თავმოყრილი, მაშინ სახელმწიფოს მოელის ძირითად კანონების შეცვლა რეფორმატორულ ან რევოლუციონურის გზით. თუ უკმაყოფილონი თავმოყრილი არიან სახელმწიფოს ერთ რომელიმე ნაწილში, მაშინ მას — სახელმწიფოს — მოელის დამხობა, დანაწილება. ორივე შემთხვევაში სახელმწიფოს არსებობა განსაცდელშია და ეს იმიტომ, რომ მისი ძირითადი კანონები ფიქტიურ ხელშეკრულებას წარმოადგენს: ეს ხელშეკრულება სავალდებულოდაა ცნობილი ყველასთვის მაშინ, როდესაც დიდ უმრავლესობისათვის არავის არ უკითხავს, თუ რად ემორჩილებიან ისინი ამ კანონებს.

რამდენადაც სახელმწიფოებრივ ხელშეკრულებაში მცხოვრებთა მეტი რიცხვი იღებს შეგნებულ მონაწილეობას, იმდენად ეს ხელშეკრულება მტკიცე საფუძვლიანია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამ ხელშეკრულების უფარვის მხარეების გამოცნობა უფრო ადვილი ხდება და, მაშასადამე ადვილი ხდება მათი თავიდან მოშორებაც რეფორმებით; მეორეც იმიტომ, რომ აქ უმეტესობა შეგნებულად იღებს მონაწილეობას სახელმწიფოებრივ ხელშეკრულებაში და, აი, სწორედ ამით ეძლევა მას მეტი სიმტკიცე. მოწინააღმდეგენი ახლა უძლეურად ცნობენ თავიანთ თავს და ემორჩილებიან ცხადია, რომ სახელმწიფოებრივ წყობილების იდეალია ისეთი საზოგადოება, სადაც თითოეული წევრი კანონს უყურებს, როგორც ურთიერთ შორის ნებაყოფლობით და შეკნებულად დადებულ ხელშეკრულებას, რომლის შეცვლა-დამატება ხდება ყველას თანხმობით და რომელიც სავალდებულოა იმათთვის, ვინც მასზე სრულის შეგნებით თანხმობა განაცხადა.

მკითხველი ახლავე შენიშნავს, რა ამ გვარა იდეალი, რომელიც არსებითად გამოდინარეობს სახელმწიფოებრივ პრინციპისაგან, ბოლოს და ბოლოს უარყოფაა ამავე პრინციპისა. სახელმწიფო სწორედ იმით განირჩევა სხვა საზოგადოებრივ ფორმებისაგან, რომ იქ ხელშეკრულება მიუღია უმცირესობას და ეს უმცირესობა სავალდებულოდ ხდის მას უმრავლესობისთვის. სახელმწიფოებრივ კავშირის ორი პირველ-წყარო: პრინციპი იძულებითი და მოსაზრებული ხელშეკრულება აქ ერთმანეთს ეხლებიან და ეს შეხლა ხდება იმ ნიადაგზე, რომ უკანასკნელი კდილობს სამართლიანობის სახელით შეამციროს და დაასუსტოს იძულებითობა. აქედან ლოღიკური და ერთად ერთი დასკვნა ისაა, რომ პროგრესი მდგომარეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოებ-

რივ პრინციპის გავლენის შესუსტებასა და სასტიკად შემცირებაში.

(შემდეგი იქნება)

უ ნ გ რ ი თ ი ს ა ჯ ა ნ ე შ ე ბ ა

(1848-1849 წწ.)

ავსტრიაში, როგორც რუსეთში, მრავალი სხვა და სხვა ეროვნება, სხვა და სხვა ენაზე მოლაპარაკე, სხვა და სხვა ბუნებრივ პირობებში მცხოვრები, და, როგორც ახლა რუსეთში მხოლოდ ერთი ენა და ერთი ეროვნება გაბატონებულია, ისე ავსტრიაშიაც წინეთ ბატონობდნენ გერმანელები და ყველა სხვა ეროვნებას ევალებოდა გერმანულ ენის შესწავლა და გერმანელების კულტურული მონობაც. მთავრობა ცდილობდა შეეჩერებია ხალხში სწავლა-განათლების გავრცელება და ხელი შეეშალა ხალხის გამოფხიზლებისთვის, რადგანაც იცოდა, რომ მხოლოდ ამ გზით შეეძლო თავისი და გერმანელ ერის პოლიტიკური და კულტურული ბატონობა აეგო.

მაგრამ მთავრობის საამისო მეცადინეობა ამაო გამოდგა. ვერავითარ საბაჟო თვალყურისდევნას და ცენზურის სისასტიკეს ან სასწავლებლების უფარვისობას არ შეუძლია ერთ რომელსავე სახელმწიფოში ხალხის საკუდამოდ დაბრმავება, როდესაც მეზობელ ქვეყნებში ხალხის ცხოვრება სწრაფს ნაბიჯით წინ მიდის და ამითი ხალხის საერთო კეთილდღეობაც მატულობს.

ხალხის დამონება მხოლოდ ძალმომრეობით არის შესაძლო, მაგრამ ხანგრძლივი ძალმომრეობა ბოლოს საერთო უკმაყოფილებას იწვევს, რადგანაც არ რჩება სახელმწიფოში არც ერთი კლასი და არც ერთი ადამიანი, რომელსაც ასე თუ ისე არ გამოეცადოს თავის თავზე ძალმომრეობის შედეგი, და იქ, სადაც ეკონომიურ და პოლიტიკურ მონობას კიდევ თან ახლავს ეროვნული მონობაც, ხალხში ადვილად იკიდებს ფეხს ეროვნულ დამოუკიდებლობის სურვილი, რადგანაც სხვის მონობაში დაღლილი ხალხი ამ დამოუკიდებლობის მოპოვებით აპირებს ხოლმე თავის საზოგადო ცხოვრების უფრო სამართლიანად მოწყობას. და, მართლაც, ავსტრიაში ყველა ეროვნება თანასწორად ნატრობდა ეროვნულ თავისუფლებას, — იტალიელები, პოლონელები, ჩეხები, სერბო ხორვატები და უნგრელებიც.

ავსტრიის მთავრობა სარგებლობდა იმით, რომ ზოგიერთ ეროვნების მოთხოვნა რომელიმე მის მეზობელ ეროვნებაში წინააღმდეგობას იწვევდა და იმათ გადაკიდებით უზრუნველ ჰყოფდა თავის ბატონობას და მათ ასუსტებდა ბრძოლაში. ეს ხერხი მან უნგრელებთან ბრძოლაშიაც გამოიყენა.

როდესაც ავსტრიაში 1818 წელს საფრანგეთის რევოლუციის ამბავი მოვიდა, მთელი უნგრეთი ფეხზე წამოდგა. 2 მარტს უნგრეთის სეიმში უნგრელ მამულიშვილის კოშუტის აღურთოვანებული სიტყვა გაისმა: „სული გვეხუთება. ავსტრიის სახელმწიფო წყობილების მძევრს საშინელი სული აუღის, რომელიც ძარღვებს გვიდუნებს და სპობს ჩვენ აღფრთოვანებას...“ „საყვარელ მთავრობისთვის ხალხი თავის სიკოცხლეს სწირავს, დამწავრელ სახელმწიფო წყობილების გულისთვის ერთი გროშის დახარჯვაც არ შეიძლება!“

ამ სიტყვამ დიდი გაცაცება გამოიწვია. სწორედ ამ დროს ამოძრავდნენ ჩეხები და პოლონელებიც, თვით ვენაშიაც რევოლუცია დაიწყო. მეტრერნისი, — ამ დრომდის თვითმპყრობელი მინისტრი და მთელ ევროპის ბატონი, — გადააყენეს, იმპერატორი ვენიდან გაიქცა. აჯანყების ჩასაქრობად მთავრობას საკმარისი ძალა არ დაუჩინა, რადგანაც ჯარები იტალიელების აჯანყების წინააღმდეგ გაგზავნილი გამოდგა. ამიტომ მთავრობა უნგრელების მოთხოვნას წინ ვერ აღუდგა და უნგრელებისათვის ცალკე პასუხიმგებელ სამინისტროს დანიშვნაზე დასთანხმდა. ამ სამინისტროში მოწვეული იყო ორი ცნობილი უნგრელი მოღვაწე, — კოშუტი და დეაკი.

უნგრელი ხალხი იმ აზრის იყო, რომ „უნგრეთი უნდა იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი. როგორც მართვაგებებაში, ისე კანონმდებლობის საქმეშიაც — იგი არც ერთ სხვა ქვეყანას არ ემორჩილება. ჩვენ არ გვინდა, ამბობდნენ უნგრელები, ჩვენი ქვეყნის ინტერესებს შევწიროთ სახელმწიფოს მთლიანობა და ჩვენი გულისთვის საერთო სახელმწიფოს არსებობა მოვუსპოთ, მაგრამ უსამართლობად მიგვანია, რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესებიც შევწიროს რომელიმე სხვა ქვეყნის ინტერესებს. სამართლიანი სახელმწიფო წესწყობილება ყველა ერის თანასწორობას მოითხოვს და ამ სამართლიან წყობილების შემოღებას ვეცდებით იქაც კი, სადაც მისი შემოღება ხალხისგან მსხვერპლსა და თავის შეწირვას მოითხოვს“.

მთავრობამ უნგრელებს ნება დართო, რომ მათ თავიანთი პარლამენტი უნგრეთის დედაქალაქში, პეტში, გადაეტანათ, თვით ეს პარლამენტი ყოველწლიურად მოეწვიათ და მოეხსოთ ცენზურა.

უნგრელებმა თავისი საკუთარი ჯარი მოიწვიეს და მას აუკრძალეს ვენიდან რამე ბრძანების მიღება, შემოიღეს საკუთარი ქალაქის ფული და საზღვარ გარეთ სახელმწიფოებს დებუტაცია გაუგზავნეს და განუცხადეს, — ავსტრიის რეაქციონურ საერთაშორისო პოლიტიკას მხარს არ დაუჭერთ.

ამაიხრად უნგრელებმა თითქმის სრული თავისუფლება მიიღეს. მაგრამ მათ წინ აღუდგნენ უნგრეთის საზღვრებში და მეზობლად მცხოვრები სლავიანები. განსაკუთრებით სახელი გაითქვეს ხორვატებმა და მათმა მმართველმა ელაჩჩმა, რომელიც უნგრელების და თავისუფალ უნგრეთის დაუძინებელი მტერი იყო და ითხოვდა, რომ ყველა ეროვნება ვენის. ე. ი. ავსტრიის მთავრობას ცენტრალისტურად განეგო. მართლაც, 31 აგვისტოს ავსტრიის მთავრობამ ბრძანება გამოსცა, რომ უნგრეთის სეიმი ყველა საქმეში ავსტრიის კანონებისა და წესების მიხედვით უნდა მოქცეულიყო. ეს ბრძანება უნგრეთის თავისუფლების მოსპობას უდრიდა.

უნგრელებმა შეტაკების თავიდან ასაცილებლად ვენაში დებუტაცია გაგზავნეს, მაგრამ ვენის მთავრობამ ეს დებუტაცია არ ინახულა. უნგრელებმა მეორედ გაგზავნეს დებუტაცია, რომელიც მთავრობამ 9 სექტემბერს მიიღო, მაგრამ უნგრელების სურვილის შესრულებაზე ცივი უარი გამოაცხადა, — უნგრელებს უნდოდათ, რომ ავსტრია და უნგრეთი, როგორც თავისუფალი ერთეულები, ყოფილიყო შეერთებული ერთ შეკავშირებულ სახელმწიფოს სახით. ორი დღის შემდეგ ელაჩჩი ხორვატელების ჯარით შეესია უნგრეთს.

უნგრელებმა მშვიდობიანად საქმის მორიგებაზე იმედი არ დაჰკარგეს და ახლა ავსტრიის პარლამენტს მიჰპართეს,

მაგრამ გერმანელ ხალხის წარმომადგენლებმაც არ ისურვეს უნგრელ დებუტაციის მოსმენა.

ავსტრიის მთავრობამ უნგრეთის გამგელ გრაფ რაჟა ბერგი დანიშნა. უნგრელებმა მისი დანიშვნა უკანონოდ გამოაცხადეს, რადგანაც გრაფ რაჟა ბერგის დანიშვნის ბრძანება უნგრელ მინისტრებისაგან ხელმოწერილი არ იყო. რაჟა ბერგი მინც ჩავიდა 25 სექტემბერს პეტში, სადაც აღელვებულმა ხალხმა იგი იმავე დღეს მოჰკლა ქუჩაში. უნგრელებმა დროებით მთავრობა ააჩიეს, ავსტრიის მთავრობამ კი რაჟა ბერგის მაგიერად ელაჩჩი დანიშნა და უნგრეთში სამხედრო წესები გამოაცხადა.

ამავე დროს უნგრეთისკენ ჯარებიც გაგზავნეს. მაგრამ ჯარი არ მიდიოდა. ვენაში ხალხი იძახდა, — „უნგრელები თუ დაამარცხეს, ავსტრიაში საერთოდ თავისუფლების ყოველივე ნასახსაც მოგვისპობს მთავრობაო. ვასაგზავნი ჯარი შეუერთდა ხალხს. ჯარის მეორე ნაწილი ხალხზე იერიშით მივიდა, მაგრამ ქუჩებში გაცხარებულ ბრძოლის შემდეგ გამარჯვებული დარჩა ხალხი, რომელსაც არსენალი აიღო და იარაღი დაირიგა. შეშინებული მიფე ვენიდან გაიქცა ერთ სლავიანურ ქალაქში, ოლომუცში, საიდანაც ერთგულად დარჩენილი ჯარის ნაწილი ვენის ასაღებად გაგზავნა. ვენას ალყა რომ შემოარტყეს — კოშუტი უნგრელებს ურჩევდა, ვენის გასანთავისუფლებლად და მთავრობის დასამარცხებლად ჯარი გაგზავნოთ, მაგრამ ამ განზრახვას წინ აღუდგა უნგრელი ღენერალი გერგეი, — ჯარის ასეთი გაგზავნა სახიფათო არისო. მხოლოდ დიდი ხნის კამათის შემდეგ უნგრელებმა ისევე ჯარის გაგზავნა ააჩიეს, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო, — ავსტრიის მთავარსარდალმა ვინდიშგრეცმა უნგრელების განზრახვა შეიტყო და შესაფერ ზომების მიღება მოასწრო. უნგრელების ჯარი დამარცხდა და ვინდიშგრეცმა ვენა ხელმოწიფეს დაუ-მორჩილა.

უნგრელების წინააღმდეგ ომი ავსტრიის მთავრობამ დეკემბერში დაიწყო, როდესაც წყლები გაიყინა და ჯარის მიმოსვლა გაადვილდა 5 იანვარს 1849 წ. ავსტრიის ჯარები უნგრელების დედაქალაქში, პეტში, შევიდნენ, უნგრეთის მთავრობა დებრეჩინში გადავიდა. ვინდიშგრეცმა საშინელის სისასტიკით დაიწყო უნგრელების დასჯა და მთელი უნგრეთი ააწიოკა.

უნგრელების პირველი დამარცხება ახლად შეკრებილ ჯარს მოუშადადებლობით აიხსნება. თან და თან მათი ჯარი გამოიცადა და ბრძოლის ველზე ბედმა უნგრელებსაც გაუღიმა: მათ გამოაჩნდათ რამოდენიმე ნიჭიერი სარდალიც, მაგ. ბემი, კლაპკა და გუიონი. ახლა ავსტრიის ჯარები დამარცხდა და ვინდიშგრეცი იძულებული გახდა ვენისაკენ დაეხულოყო. 22 აპრილს უნგრელებმა სრულებით განდევნეს თავიანთ საზღვრებიდან ავსტრიელ ჯარების უკანასკნელი ნაწილი და უნგრეთის პარლამენტმა ეს ქვეყანა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა, დროებით მთავრობა კოშუტს ჩაბარდა.

დამარცხებულმა ავსტრიამ დახმარებისთვის რუსეთს მიმართა, და, მართლაც, რუსეთის მთავრობამ იკისრა ის სამარცხენო საქმე, რომელიც დღემდის არ დაიწყებია უნგრელებს. იმპერატორმა ნიკოლოზმა გამოაცხადა, — „აჯანყება და არეულობა მოეფინა ავსტრიასა და პრუსიას“ და ჩვენ სახელმწიფოს დასაცველად განვიზრახეთ იქ, მეზობელ სახელმწიფოებში, სარეგულუცხო მოძრაობის მოსპობა“.



იმ დროს მთელ ევროპაში ძლიერი სარევოლუციო მოძრაობა დაიწყო და შეშინებული მეფეები საერთო ძალით აპირებდნენ ამ მოძრაობასთან ბრძოლას თავიანთ ბრწყინვალე სამეფო ტახტის შესარჩენად.

უნგრეთიც ემზადებოდა მტრის დასახვედრად. ამოდ იხვეწებოდა ნიკოეზი სარდალი კლაპკა უნგრელ ჯარებს ენაზე გაგზავნას, — ამ ქალაქის აღება ავსტრიის მთავრობას დაასუსტებს და ავსტრიის აჯანყებულ ხალხს ჩვენ მხარეზე გადმოიყვანსო, — მთავარ სარდალი გერგეი წინ აღუდგა ამ აზრს და ყოყმანობდა. საზოგადოდ გერგეი უნგრელების დამლუბველი გამოდგა: პატივმოყვარე, ამაყი, დაუნდობელი, იგი გულში ემზობოდა ავსტრიას და უნგრელების დემოკრატიული მისწრაფება მას ეკავებოდა; იგი თავის პირად ამაღლებას და დაწინაურებას უფრო აფასებდა, ვიდრე თავის ხალხის და სამშობლოს კეთილდღეობას. მინვე დაღუპა უნგრეთი.

დაჩქარების მივიერ გერგეი დროს ჰკარგავდა და ჯარს ავსტრიელების წინააღმდეგ არ აგზავნიდა. ამითი მან გაუადვილა ავსტრიელებს ჯარის შეკრება და მომზადება, რასაც 21 ივნისს ისევე უნგრელთა ჯარების დამარცხება მოჰყვა.

ამ დამარცხებამ უნგრეთი განსაცდელში ჩაავდო: ჩრდილოეთით მას აწევებოდა 80 ათას ჯარის კაცით გინიუ, სამხრეთის საზღვარზე იდგა ელაჩიჩი, რომელსაც თან ჰყავდა 40 ათასი სერბო — ხორვატი, 12 ათასი მტერი ვალახიაში იყო და რუსეთიდან მოდიოდა 140 ათასი რუსი, რომელიც იმპერატორ ნიკოლოზ პირველს გამოეგზავნა უნგრელების დასამორჩილებლად.

ამ საშინელ დროს კოშუტი მთელ ბრძოლის სულის ჩამდგმელი იყო: იგი მუშაობდა დღე და ღამე დაუღალავად და განაგებდა მართვა-გამგეობას, ფინანსებს, ჯარების კვებას, ახალ ჯარების შედგენას და მომზადებას. იგივე უნგრეთის სხვა და სხვა კუთხეში დაიარებოდა და თავის წარმტაც სიტყვებით აღფრთოვანებდა უნგრელებს და მათ ბრძოლისთვის იწვევდა.

გერგეი კი მთავრობის ბრძანებებს არ ემორჩილებოდა. კოშუტი იძულებული გახდა მისი გადაყენება მოეთხოვა, მაგრამ გერგეიმ აფიცრებში მომხრეები იშოვნა და თავისი თავი ძალად დაატოვებინა მთავარ სარდლის თანამდებობაზე. 11 ივნისს იგი დამარცხდა და უნგრეთის მთავრობას ისევე უნდა დაეტოვებინა დედა ქალაქი, პეშტი, რომელიცაც გაინაშე ავსტრიელების ჯარები შეიყვანა.

2 აგვისტოს პასკევიჩის წინამძღოლობით 40,000 რუსის ჯარი უნგრეთის ჯარს შეეტაკა. გერგეი, რომელიც ახლო იყო, არ მიეშველა თავისიანებს და უნგრეთის ჯარი აქაც დამარცხებული დარჩა.

ამოდ ემუდარებოდა კოშუტი ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოს მთავრობას და შველას ან გამოსარჩლებას სთხოვდა მათ, — ყველამ ამაზე ყური მიიყრუა და ზორგი შეუქცია უნგრელებს. სხვა გზა არ იყო მეფესთან მოლაპარაკება უნდა დაეწყო და ეს საქმე ისევე გერგეის უნდა ეკისრა, რადგანაც მტერი სხვებთან ლაპარაკსაც არ ისურვებდა. გერგეიც დასთანხმდა მოლაპარაკების დაწყებაზე, მხოლოდ უნგრეთის მთავრობისაგან ხელწერილი მოითხოვა, რომლითაც მთავრობა ხელს იღებდა თავის ყველა უფლება უპირატესობაზე და გერგეის დიქტატორად აცხადებდა. ცოტა ხნის ყოყმანის შემ-

დეგ კოშუტი დასთანხმდა. 11 აგვისტოს გერგეი დიქტატორად დააყენეს. საამისო პროკლამაციაში კოშუტი დიქტატორად „გენერალ გერგეის ვაზარებ უმაღლეს სახედრო და სამოქალაქო უფლებებს და მის ღვთისა, ერის და ისტორიის წინაშე პასუხის ვებლად ვხდი, რომ იგი ამ უფლებას მოიხმარს თავის საცოდავ სამშობლოსთვის ეროვნულ და პოლიტიკურ უზრუნველყოფის მოსაპოვებლად“. მაგრამ გერგეიმ თავისი განუსაზღვრელი უფლება მოიხმარა მტრების წინაშე სრულ მორჩილების გამოსაცხადებლად. 2 ოქტომბერს უნგრეთი დამორჩილებული იქმნა.

აჯანყების მეთაურები კოშუტი, ბემი, გუიონი, ფეტტერი, დემბინსკი და სხვები ოსმალეთს შეეფარნ. ბემმა და გუიონმა იქ მამამი ანობაც მიიღეს. გუიონმა შემდეგ ოსმალეთის რუსთან ომში თავი ისახელა ანატოლიასთან. კოშუტი ოსმალეთში დაატუსაღეს, მაგრამ შემდეგ, საფრანგეთის და ამერიკის მოთხოვნით გაანთავისუფლეს და კოშუტიც ინგლისში დასახლდა. გარდაიცვალა კოშუტი 1894 წელს იტალიის ქალაქ ტურინში.


ავსტრიელები და რუსები საშინელის სისასტიკით მოექცენ უნგრელებს. სატუსაღოები „საექვო“ პირებით აივსო, ყოველ დღე ვინმე სარჩობელაზე აჰყავდათ. ავსტრიის მთავრობამ პოლიტიკურ დამნაშავეთა მამულები დაისაკუთრა. არ ზოგავდნენ კაცსა და ქალს, მოხუცებულსა თუ ბავშვებს, უმანკო სისხლით იღებებოდა თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხის ქვეყანა.

უნგრეთის რევოლუციის დამარცხებით დასრულდა ის საერთო სარევოლუციო მოძრაობა, რომელიც 1848 წელს მთელ ევროპას მოედვა. ამ დამარცხების შემდეგ რეაქცია დაიწყო, რომელიც ავსტრიიდან შემდეგ მეზობელ სახელმწიფოებშიაც გადვიდა. მთავრობა იბრუნებდა ყველგან იმ უფლებებს, რომელიც 1848 წ. მას გამოჰკლიჯა ხალხმა.

განსაკუთრებულის სისასტიკით დაადგა სარეაქციო გზას ავსტრიის მთავრობა უნგრეთში. მან გააუქმა უნგრეთის პარლამენტი, გააუქმა აგრეთვე ამ პარლამენტის მიერ გამოცემული ყველა კანონი, რომელიც ხალხს მეტს უფლებასა და შედევას აძლევდა. ეს რეაქცია არც მთავრობის დამხმარე სლავიანებს ასცდათ და თავისუფლების მოტრფიალეთა მტრებმა თავიანთ თავზე გამოსცადეს გაძლიერებულ და წელში გამართულ მთავრობის დაუნდობლობა.

მეტტერნიხი ისევე ავსტრიაში დაბრუნდა. ათი წლის განმავლობაში მთელი ევროპა, თითქო საღათა ძიერს მიცემული არისო, სდუმდა, ყველგან თითქო სამუდამოდ მოსპობილიყო პოლიტიკურ ცხოვრების მჯდის ცემა და ხელმწიფეები გამარჯვებას დღესასწაულობდნენ.

მაგრამ ამ სადღესასწაულო სიმღერაში სხვა ჰანგებიც ისმოდა: ყველგან საშინელის სისწრაფით იბრუნებოდა სახელმწიფო ვალები და გადასახადი თან და თან მეტის სიმძიმით აწევებოდა დამონებულ ხალხს. ფინანსიურ გაჭირვებაში ჩავარდნილი მთავრობა თავის საკუთარ ძაღლინით ვეღარ ახერხებდა საქმის გაძლოლას და ცხადი იყო, რომ მალე იგი იძულებული გახდება ისევე ხალხს მიჰმართოს და პარლამენტის მოწვევით მეტი წესრიგი ჩამოაგდოს სახელმწიფოს მართვასა და გამგეობაში. მართლაც, 1860 წ. 20 ოქტომბერს ავსტრიის მთავრობამ ბრძანება გამოსცა, რომლის ძალითაც ხალხს



ავსტრიასა და უნგრეთში წარმომადგენლების არჩევის უფლება უბრუნდებოდა.

უნგრელებმა ისარგებლეს ამ უფლებით და გააუქმეს მათ უკანასკნელ ეროვნულ პარლამენტის დათხოვნის შემდეგ ავსტრიის მთავრობისაგან გამოცემული ყველა კანონი და განკარგულება. ვენის მთავრობიდან ყოველ მოწერილობას უნგრელები უყურადღებოდ სტოვებდნენ და არ ასრულებდნენ. ხალხმა ვადასახადებზე უარი სთქვა და ავსტრიის სასამართლოებს არ ემორჩილებოდა. ავსტრიის მეფე ამის გამო დაემუქრა უნგრელებს, თქვენს პარლამენტს დავითხოვო, მაგრამ ამ მუქარამ არ გასქრა.

1861 წ. 26 თებერვალს იმპერატორმა ახალი კონსტიტუცია გამოსცა, მაგრამ უნგრელებმა ისიც არა სცნეს და ხელმოწიფეს 1848 წლის კონსტიტუციის აღდგენა მოსთხოვეს. არც ერთი მხარე არ აპირებდა დათმობას. საქმე ამნაირად 1867 წლამდის გაგრძელდა. ისევ ფინანსიურმა გაკირვებამ აიძულა ავსტრიის მთავრობა შეთანხმებოდა უნგრეთს და ავსტრია და უნგრეთი საერო სახელმწიფოს სრულ უფლებიან ნახევრებად ეცნო. უნგრეთმა 1848 წლის კონსტიტუცია მიიღო, — ამ კონსტიტუციის ძალით უნგრეთის სამინისტრო უნგრეთისავე პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი იყო.

ავსტრიის მთავრობამ ვერ მოსპო თავისუფლებისადმი მისწრაფება უნგრეთში. უნგრეთის რევოლუციის შედეგმა ნათლად დაამტკიცა, რომ ძალით არ შეიძლება ხალხის გულში თავისუფლებისადმი მისწრაფების მოსპობა. ძალადობა მხოლოდ ააღელვებს ხალხს და მას უმტკიცებს, რომ კეთილდღეობის მოსაპოვებლად აუცილებელი საჭიროა ძალადობის ჩამდენთა ჩამოშორება. მთავრობის ძალპომრეობას მხოლოდ დროებით შეუძლია ბრძოლის შეჩერება. მთავრობას შეუძლია სატუსაღოები ხალხით აავსოს, სახელმწიფოს ყოველ ქალაქში სარჩობელები ამართოს, დახოცოს თავისუფლების მოტრფილენი, მაგრამ თავისუფლებისადმი მისწრაფების მოსპობა მას არ შეუძლია, ეს მისწრაფება უკვდავი არის და აღრე იქნება თუ გვიან გაიმარჯვებს, ჭ ხალხს თავისუფლება მიენიჭება, — თავისუფლება პოლიტიკური, სოციალური და ეროვნული. ამას ისტორია გვასწავლის, ამასვე ვგრძნობთ ყველანი, ვინც რამე თავისუფლებას მოკლებულია და ვინც თავის თავზე პოლიტიკურ, სოციალურ და ეროვნულ დამონება — დაბრჩავენს განიცდის.

ბ. გ. — ქ.

ჩვენება საპატიმროში

I

იქ, ზღვის ნაპირად, ყრუ კლდის ნაპარალზე ციხე რამა დგას ძველად გებული, საუკუნეთა ვითარებისგან ძირით თხემამდე დახვსებული.

მიდამოსა რწყავს მის ყრუ კედლებით წყალი ცრემლებათ ჩამონაწვეთი და თვით, პირ-მქუში, ყინვა-ქარისგან შებღალულია და განაცვეთი.

ულრან ტყის წიაღს შეჭვარებია, არსით სიცოცხლე, არსით მზის სხივი! თავზე ადგია მხოლოდ ქანდაკი — ორთავიანი რაღაც არწივი.

კაცის ხელქმნილი, კაცთავე მტანჯველად დგას გულ ამაყი და მედიდური, თვით ემბლემია მტარვალობისა და წარმოება ჯოჯოხეთური.

იმის მრისხანე შავ-ბნელ კედლებში ქვეწარმავალი მიმოსრიალებს და ხან მის თავზე ზღვის ქარ-გრივლი გლოვის შავ დროშას შეაფრიალებს.

ის გლოვის ელფერს სდებს არე-მარეს, შუბლ-დაღარული, მარად მტირალი და, ვით ჯალათი კაცობრიობის, სისხლიან თვლით გამომზირალი.

იქ ისმის მხოლოდ დარაჯთ ფეხის ხმა, შინით — ტანჯულთა კრულვა, კბილთ-ღრქენა, ზღვის ფრთონა, ღელვა აუწერელი და ნიაგ-ქართა ზუზუნი, სტვენა.

იქ მხოლოდ გლოვა ზედ ემატება საყოველთაო სევდა-სიმწარეს, როს ბუკიოტი გაკვივის ობლად და ნაღვლიან ხმას ჰფენს არე-მარეს

იქ დედა-მამა მაკირწყლულია: ყრუებად დგას კაცთა თავები და ადამიანს სულს უწიოკებს გულ მზარ, შავ-ბნელი სანახავები,

იქ დგას სამსხვერპლო, სადაც ჯალათნი ტანჯულთ მახვილით უბობენ გულებს და თვით იესოს წმინდა სახელით ცეცხლს უკიდებენ მის მოციქულებს.

იქ ისმის გმინვა გულ-შემაზარი, არც შებრალება, არც სასოება... და განწირულის ხვედრია მხოლოდ გულცივი ქვეყნის ამაოება.

„ურჩთა სავანე“, ანუ „სამსხვერპლო“ იმას ოდითვე ეწოდებოდა: როგორც ვეშაპი ნთქავდა იგი ხალხს და ვით ჯურღმული არ ივსებოდა.

ბუნებაც მკაცრი მასვე ხელს უწყობს, — ცა დღე და ღამე ნისლ-მობურული, იქ თვით მისიც უღმობელია და ცივი, როგორც მტარვალის გული.

II

იქ, ბნელ საკანში, იჯდა საბრალო, ჩონჩხად ქცეული, ღონე მიხდილი, ყრუ, ცივ კედელზე მიყრდნობილიყო, ამოდგომოდა გვერდით სიკვდილი.

თმა მოშვებული, განაწამები, სვედით მოცული, შუბლ-დაღარული მწარე ფიქრების ბუდედ ქმნილიყო, მისთვის არც შვება, არც სიხარული.

ვერცა თვისტომი, ვერც ამხანაგი ველარ აძლევდა საშველად ხელსა, ის იტანჯოდა, და ამ ტანჯვაში თვე თვეს ნისდევდა და წელი წელსა.

მხოლოდ აჩრდილი დაავადებით იჯდა ქმუნვარე, ფიქრთ ეძლეოდა,

ქართული
ენების

დღეებს ითვლიდა თავის ტანჯვისას,
მაგრამ დღეები არ იღვეოდა.

ის ხან ოცნებით მთელსა მსოფლიოს
თვის მისწრაფებათ გზად დაუფენდა
და ამ ტკბილ წამში გამხდარ სახეზე
კვლავ ალტაცება გადაურბენდა;

ცხოვრების ტალღებს შემომებული
კვლავ ასპარეზზე მიმოფრინავდა;
მაგრამ იმავ დროს ციხის კედლებში
იგი ნამდვილად მხოლოდ გმინავდა.

მისი სურვილი, გრძობა-ფიქრები
ციხის ცივ კედლებს ეხეთქებოდა
და, რომ იმ ყრუსა ვერას აკლებდა,
ფრთა შეკვეცილი იქვე კვდებოდა.

მის თითოეულ ამოგმინვაზე
ციხე რაღაც ყრუდ იძლეოდა ხმას
და ამონახეთქს გულიდან სევდას
გაათქეცებით უბრუნებდა მას!..

ის ხან მომავალს შეტრფოდა შორით
აწყო ტანჯვებით გარემოცული;
რვეული ახლდა ამხანაგად და
გამხდარ სხეულში ძლიერი სული:

მეთაე დღეა არ უქამია,
სიკვილ-სიცოცხლეს ვბრძვის გამირულად;
სწერს გაცხარებით... ხან ციხის კედელს
ის ეკვთება თავ-განწირულად...

III

შუალამეა, არსად ვინ იძვრის,
გამეფებულა სიჩუმე სრული,
მხოლოდ ზეცაში ღამის გუშავი
კაშკაშებს მთვარე სხივ-გაბადრული.

გულ-უხვად აფრქვევს ანარეკლ სხივებს,
თავს დაქათქათებს მძინარ ქვეყანას
და ყურ მახვილად შეკავშირებულს
ისმენს ის ცისა და ქვეყნის „ნანას“.

საღდაც ბუჩქებში მთლად შემოღული
ალტაცებითა, ჩუ! სტვენს ბულბული!
მსმენელი გრძობით ზეცაში აჰყავს,
ჰანგს ჰანგზე აბაშს, ნეტარობს გული... ..

და ეს რა არის, ყვავილთა შორის
მთვარის შუქზე რომ ვერცხლებერ ბრჭყვიანებს?—
ცის მარგალიტი! იქვე გრძელ სარტყლად
ცივ—მოკამკამე რუ მიჩრიალებს.

ყვავილთ ნექაარი აზავებს ჰაერს,
გუნდრუკ-სუნენლად ეფინება ვარს
და შეხამებით თვით ბუნებასთან
ქებათა-ქებას უკმევს ზენაარსს.

დაბერა სიომ თფილმა, საამომ,
ცივ მარგალიტი კვლავ ჩამოვარდა
და ამავე დროს ცაში ღამურამ—
ვით მავნე სულმა—შეინავარდა.

და იქ კი ნაცვლად ბულბულთა სტვენის
ისმის ზარნაშოს კენესა-ძახილი
და ციხეში მჯდომს უწყლულებს გულსა,
ვით ორღესული თითქო მახვილი.

ის თითქო „ვის“ დასძახის თავსო
ბნელ საკანში მყოფ ვინმე პატიმარს.
და ამ სევდის ხმას იგი, საბრალო,
სევდას ჩვეული უღებს გულის კარს.

ციხეში ბუტჯანს მცირე სანათი,
ზის პატიმარი იქ თავ-დახრილი
და იმის გამხდარ სახეზე ბოწყინავს
ახალი ცრემლი მისგან დაღვრილი.

ქალაღ-მელანი, საწერ კალამი
წინ, მაგიდაზე უწყვიდა მასა
და ემატება ფურცელს ფურცელი,
ველარ აუღის ზღვა გულის თქმასა.

თითქო ისვენებს იგი ამ შრომით,
„ჰა, კიდევ ერთი, წარმოსტევა ასე:
ორიოდ სიტყვა კიდევ დავსძინო“...
და გადმოშალა გვერდი მეთასე.

დასრულდა შრომა. ამ პირში შვილმა
ის გაამხნევა, გაასულმნათა
და ამ დროს ციხის მცირე სარკმლიდან
ბადრმა მთვარემაც ჩამოანათა.

კვლავ, ვალ-მოხდილმა, თვისი ნაშრომი
გადაიკითხა, ესიყვარულა,
გულში ჩაიკრა: „მიანდერძეო“,
და კალმით ხელში ზედ მიერულა.

და, ჰა, შემოდის ვილაც ქაბუკი,
ის ნათელ-მოსით გამოისახა,
თავზე დაადგა მძინარე ტანჯულს
და ნუგეშის ხმით ნელა ჩასძახა:

ჩვენება:

აღსდგე, ნუ გძინავს! გამოიფხიზლე!
შენ - ტანჯულისთვის რა დროს ძილია?
დავიჯერო, რომ ეგ შენი გული
მაგ მწარე ყოფნით კმაყოფილია?

ის:

თუმცა სიფხიზლის უშრეტი ალი
სამარადისოდ გულში მეგზვნების,
და, აბა, რა ექნა? პირ-აკრული ვარ
და ნება არ მაქვს გამოღვიძების!

ულმო მტარვალმა დაგვრია ხელი
მით ისახელა თავი ყველაზე,—
მე აქ მაწამეს, სხეები დახვრიტეს,
ზოგიც გაგზავნეს სარჩობელაზე.

ჩვენება:

რისთვის დაგრიათ, რა ჩაიღინეთ?

ის:

პური ვითხოვეთ, გეშოდა რაკი,
მან მოგვიხალა გულში ტყვიები
და შეიწირა კაცთა ზვარაკი!...

ალარ დაინდო არსად მოხუცი,
არც ახალგაზდა, უსუსურები
და, ვინც გადარჩა, ტყე-ტყე დაღიან
მშვიერ-ტიტვლები, უბედურები...

ჩვენება:

რად შეარჩინეთ და არ იბრძოლეთ თვით უკანასკნელ სისხლის წვეთამდე?

ას:

ჩვენ ბევრი რამე როდილა გვიკლდა თვით საბოლოო გამარჯვებამდე;

ის კი არა და — ჩვენთან ბრძოლაზე მტარვალმა თითქმის აიღო ხელი, მაგრამ ჩვენ შორის გაჩნდა იულა და იმ წყუღობა გამოგვკრა ყელი!

ჩვენება:

და შეარჩინეთ, განა, იმ ვერაგს ქვეყნის ღალატი? ვით დავიჯერო?

ას:

თვით ჩემს ხელით მიუღწეე მე მას მისი წილხვედრი სამაგიერო.

ჩვენება

ხომ კიდევა გყავთ ქვეყნად მებრძოლი?

ას:

გვყავს...

ჩვენება:

არც დაიღვევა?

ას:

არა, აროდეს!

ჩვენება:

თუ ქვეყნისათვის მებრძოლთა რაზმი თან და თან მატობს, — მაშ, ვიხაროდეს!

თავისუფალ გყოფ ამ ალაგიდან, რომ მით მოგეცეს სიცოცხლე მტკბარი...

ას:

როგორ, რა რივად, როს საპრობილის დახშული არც სიმტკიცით კარი?!

ჩვენება:

ამ ალაგს ყოფნა შენი აწ კმარა, ზენამ გისმინა, მოგეცა შეება და სულ მღვიძარეს მან მიანიჭა გამხდარ სხეულზე მით გამარჯვება.

ეგ რა გიქირავს? ამ ქალღმერთში, წინ რომ გიწყვიტა, რა გიწერია?

ას:

ეს... მტირე რამე... მხოლოდ ის გრძნობა, რითაც ეს გული ანაძგერა.

და გთხოვ ანდერძად ეს ვაღამიკე ჩემებრ ეკლიან გზაზე მომავალს, რომ იგი თავის მოქმედების დროს გაუსწორებდეს მას ხან და ხან თვალს!

დღე, ქვეყნისთვის მებრძოლთა სისხლი რა ერთი ცვარიც დაიღვრებოდეს, საშვილის შვილოდ და საანდერძოდ სულ მატიანედ იწერებოდეს!..

ცამ ირაყრავა და განთიადმა აღმოსავლეთი წითლად შედგება,

მხსენაც წვერი ჰკრა და მის სხივს მდებლო ძირს ფანდახად შემოეგება.

ციხის შავ კედლებს რომ მოხვდა სხივი, — მთელი იმ ღამის განაწვალები ზანტად წამოდგა ციხის დარაჯი და მოიფშენიბა ძალით თვალები.

კარი გააღო, მყის ელდა ეცა, რომ დინახა უსულო გვამი, ხელში კალამი, წინ ქალღმერთ გროვა და ზედ ცრემლები მისგან ნანამი.

დ. თამაშვილი.

მომხმარებელი საზოგადოებები იტალიაში

მომხმარებელმა საზოგადოებებმა იტალიაში ფეხის მოკიდება დაიწყეს გასულ საუკუნის მესამეოცდაათე წლებში. პირველობა ეკუთვნის ტურინს, სადაც იმ ზამთარში სანოვაციის გაძვირების გამო რკინის გზებზე მომუშავე 800 მუშამ განიზრახეს მომხმარებელ საზოგადოების დაარსება და რჩევა სთხოვეს რკინის გზის კამპანიის დირექტორს, რომელიც დიდის თანაგრძნობით მიეგება მათ საქმეს და მუშებისგანვე მთელი კომისია გაგზავნა საფრანგეთში იქაურ მომხმარებელ საზოგადოებების შესასწავლად. კომისია ჯერ არც კი დაბრუნებულყო, რომ ასეთივე საზოგადოებები შეადგინეს ფლორენციასა, მილანსა და ვერონაში. იდეა ყველა რკინის გზების მოსამსახურეთათვის ერთ მომხმარებელ საზოგადოების დაარსებისა არ განხორციელდა, მაგრამ ცალკე საზოგადოებები შემოხსენებულ ქალაქებს გარდა ბევრგან დაარსდა.

1864 წელს „იტალიის კოოპერაციების მამამ“, პროფესორმა ვიგანომ კომოში როჩდელის სისტემის მომხმარებელი საზოგადოება დააარსა*). აქედან იწყება იტალიის კოოპერაციის გაფურჩქენა. შემდეგში მომხმარებელ საზოგადოებათა უმეტესმა ნაწილმა როჩდელის სისტემას თავი დაანება და გადავიდა უწინდელ სისტემაზე, საქონლის გაყიდვაზე თავის ფასად, რადგან იტალიელ ხელმოკლე მუშას საქონლის იაფი ყიდვა უფრო აინტერესებდა, ვიდრე დიდდენდი. უკვე 1868 წ. მთელ იტალიაში ასამდე საზოგადოება ითვლებოდა. აქედან მხოლოდ 16 საზოგადოება იყო მოწყობილი ინგლისურად. 1889 წელს იტალიაში უკვე 681 საზოგადოება ითვლებოდა, 1895 წ. კი — 1013 საზოგადოება. უმეტესი ნაწილი მომხმარებელ საზოგადოებებისა ქალაქებშია, სადაც ცხოვრება გაცილებით უფრო ძვირია, ვიდრე სოფლად. ეს იმით აიხსნება, რომ იტალიის ქალაქებში სოფლიდან შეტანილ სურსათს ბაჭი ადევს. მართალია, ასეთ ვე ბაჭი ადევს საფრანგეთის, ავსტრიისა და ლოტარინგიის ქალაქებსაც, მაგრამ შედარებით იტალიის ქალაქები დიდ ბიეს იღებენ და ცხოვრებას ხელოვნურად აძვირებენ.

იტალიის მომხმარებელ საზოგადოებაში წევრად შესვლა ძალიან ადვილია. თითო პაი ლირს 50 ჩენტეზიმიდამ (18 კაპ.) 100 ლირამდის (37 მან.) საკომერციო კანონი ამაზე მეტად პაის გაძვირების ნებას არ აძლევდა. ჩვეულებრივი ფასი პაისა უდრის 5 - 10 ლირას (ლირა უდრის 37 კაპ.). მისი გადახდა

*) მომხმარებელ საზოგადოების სხვა და სხვა სისტემების შესახებ იხ. „ვერია“ № 2.



ნაწილ ნაწილადაც შეიძლება. არის ერთი ისეთი საზოგადოებაც სოფელში, სადაც პაის ყიდვა შეიძლება ჭირნახულით. საკომერციო კანონი დაწვრილებით აღნიშნავს ერთი კაცის ხელში მოგროვილ პაების რაოდენობას. ზოგ საზოგადოების წესდება ერთ პაიზე მეტის შექმნის უფლებას არ იძლევა. იტალიის მომხმ. საზოგადოებათა უმეტესი ნაწილი საქონელს ბაზრის ფასად კი არ ჰყიდის, არამედ თავის ფასად და ზედ უმატებს აღმინისტრაციის შესანახად საჭირო ხარჯს. 1905 წელს მთავრობამ დაწვრილებით გამოიკვლია მომხმარებელ საზოგადოებათა საქმის წარმოების სისტემა. აღმოჩნდა, რომ 159 საზოგადოებიდან 119 საზოგადოება საქონელს თავის ფასად ჰყიდის, 40 საზოგადოება კი—ზომიერ საბაზრო ფასად. ფაქტიურად ისეთ საზოგადოებებს, რომელნიც საქონელს თავის ფასად ჰყიდიან, წლის ბოლოში ყოველთვის რჩებათ პატარა მოგება და დივიდენდი. ამ მხრით ეს საზოგადოებებიც ინგლისურ სისტემას ჰგვანან. ნამდვილ ინგლისურ სისტემას მხოლოდ რამდენიმე საზოგადოება მისდევს, რომელნიც სხვებთან შედარებით ღონივრები არიან. ასე ვაქრობენ დიდი საზოგადოებები და მათ პრაქტიკიდან ნათლად სჩანს. რომ საბაზრო ფასებით საქონლის გაყიდვა მომხმარებლებს ხელმოკერელობას აჩვენებს. თავის ფასად საქონლის გაყიდვა ადგილობრივ ვაჭრებსაც ფასების დაკლებას იძლეობს, მაგრამ სამაგიეროდ ძალიან აბრაზებს და ამხედრებს მომხმარებელ საზოგადოებებს წინააღმდეგ.

იტალიაში ძალიან განზირებულია ნისიად ვაჭრობა. მომხმარებელი საზოგადოებები ძალიან დაეწვივნენ ნისიად ვაჭრობას, რაიც მცხოვრებთა ხელმოკერეობით აიხსნება. უმეტეს შემთხვევაში ნისიას იმაზე მეტს არ იძლევიან, რაც პაი ღირს. ორი სასოფლო საზოგადოება ღარიბებს დღეში ერთ ლირის ნისიას აძლევს ერთი თვის განმავლობაში. გარეშე პირებს იშვიათად მიჰყიდიან ხოლმე საქონელს. 448 საზოგადოებიდან მხოლოდ 59 საზოგადოება ვაჭრობს გარეშე მხოლოდ.

დივიდენდის განაწილებაც სხვა და სხვა წესით ხდება. ზოგი საზოგადოება კაპიტალისტურ წესს მისდევს, ე. ი. დივიდენდს აქციების მიხედვით იძლევა, ზოგი კი, პირიქით, დივიდენდს წაღებულ საქონლის რაოდენობით ანაწილებს. უმეტეს ნაწილად დივიდენდი 5—6% უდრის. სათადარიგო თანხისთვის სტოვებენ არა ნაკლებ იმ პროცენტისა, რომელიც აღნიშნულია საკომერციო კანონებში. ნაწილი დივიდენდისა მიდის სხვა და სხვა სასარგებლო დაწესებულებაზე: კოოპერაციულ პროპაგანდაზე, ინვალიდების შენახვაზე, საავადმყოფო კასების დაარსებაზე და სხ.

მთავრობამ საქმის გამოსაკვლევად შეკითხვით მიმართა მომხმარებელ საზოგადოებებს, რაზედაც 750 დამოუკიდებელ საზოგადოებიდან მხოლოდ 283 საზოგადოებამ გასცა პასუხი. საერთოდ მათ ჰყავდათ 95, 286 წევრი. ცხა საზოგადოებას თითო 1000-ზე მეტი წევრი ჰყავდა. 291 საზოგადოებას წლის განმავლობაში ჰქონია 24,204 416 ლირის ალემ-მიცემობა. იმავე ხნის განმავლობაში მათ ეყიდნათ 20, 417,

012 ლირის საქონელი. 5 საზოგადოება ჰყიდა სხვა და სხვა საქონელსაც, დანარჩენნი მხოლოდ სურსათს ჰყიდიან.

უფრო საინტერესოა მეორე გამოკვლევა, რომელიც „იტალიის კოოპერაციოთა ეროვნულმა ლიგამ“ მოახდინა 1902 წელს. 861 საზოგადოებიდან შეკითხვას პასუხი გასცა 703 საზოგადოებამ. საერთო რიცხვი მათ წევრებისა უდრიდა 186, 568-ს. ნამდვილად კი 1714 კოოპერაციულ დაწესებულებას 567, 430 წევრი ჰყავთ. ამავე წელს 703 საზოგადოების ალემ-მიცემობა უდრიდა 58, 930, 570 ლირას. 583 საზოგადოებიდან 323 საზოგადოება მხოლოდ წევრებს აძლევს საქონელს, 260—ყველას, 396 საზოგადოება საბაზრო ფასად ჰყიდის საქონელს, 257—თავისი ფასად.

ზემოხსენებულ გამოკვლევით გამოირკვა, რომ უკანასკნელ ხანებში ხელმეორედ გავრცელდა როჩდელის სისტემის საზოგადოებები: 703 საზოგადოებიდან 326 საზოგადოება საბაზრო ფასად ჰყიდის საქონელს.

ესლა ოდნავ გადავივლოთ თვალი იტალიის საუკეთესო მომხმარებელ საზოგადოებათა ისტორიას და მათ ორგანიზაციას. ამ მხრით ყველაზე წინ სდგას ქალაქი მილანი, სადაც 150,000 მუშა ირიცხება. ყველაზე დიდი საზოგადოება არის ეგრედ წოდებული „Unione cooperativa“, რომელსაც 57000 წევრი ჰყავს. აქედან ერთ მესამედს ქალები შეადგენენ მისი ალემ-მიცემობა 1902 წელს უდრიდა თითქმის 7 მილიონ ლირას და ამ მხრით ჩამოუვარდებოდა მილანში მხოლოდ ერთ კერძო ფირმას და მომხმარებელ საზოგადოებათა შორის აფიცურთა საზოგადოებას რომში. მას უჭირავს ორი სართული უშველებელ ხუთ სართულიან საკუთარ სახლისა. იმავე ქალაქში მას აქვს 21 განყოფილება, ერთი ბერლინში, საკუთარი სამკერვალოები, ღვინის სარდაფები, ფურნეები და ლაბორატორია სურსათის გასაშინჯად. საზოგადოება საქონელს ზომიერ საბაზრო ფასებში ჰყიდის, მაგრამ მაინც დიდი შემოსავალი აქვს. 1902 წელს მას წმინდა შემოსავალი დარჩა 325000 ლირა. შემოსავალს წესდების ძალით ასე ანაწილებენ: 10% სათადარიგო თანხაში, 10%—დამხმარებელ კასსას, 10% კოოპერაციის პრინციპების პროპაგანდას, 30% აღმინისტრაციას და 76 მომხმარებლებს. ამ საზოგადოებას აქვს საკუთარი საკოოპერაციო ყოველთვიური ჟურნალი, საზოგადო ბიბლიოთეკა, მშენებრივი საურთიერთო დამხმარებელი კასსა და სხვ.

ამ საზოგადოების გარდა მილანში ოთხი დიდი საზოგადოებაა, რომელნიც თითქმის არაფრით განიარჩევიან ზემოხსენებულ საზოგადოებისგან, მაგრამ მასზე ნაკლები წევრი ჰყავთ და ვაჭრობაც ნაკლები აქვთ. მილანში არსებობს ორიგინალური კოოპერაციული რესტორანი, რომელსაც 1902 წელს 850 წევრი ჰყავდა და მისი ალემ-მიცემობა 400,000 ლირას უდრიდა.

მაგრამ ყველაზე უფრო საგულისნმო მომხმარებელი საზოგადოება—„Alleanza cooperativa“—არსებობს ტურინში. ამ ქალაქში მას ჰყავს 12,000 წევრი. მას აქვს 15 მაღაზია.

5-საყსბო, 3 აფთაიკი, 2 სახარაზო და სამკერვალო, შუშის საწყობი, ღვინის სარდაფი და რესტორანი. გარდა ამისა მას აქვს 2 რესტორანი ქალაქ გარეთ, სადაც სურსათში ბაჟს არ იხდიან, და სავაჭრო განყოფილება სიმპლონის გვირაბთან; მისი მოგება უდრის 4⁰/₁₀ ს, ხოლო მისი განაწილება ხდება პროპორციონალურად ნაყიდ საქონლისა წევრებსა და უბრალო მყიდველთა შორის. მაგრამ ამ საზოგადოებამ ხალხის ნდობა დაიმსახურა არა მოგების დემოკრატიულ განაწილებით, არამედ საქონლის სიიაფითა და ხარისხით.

გენუაში არსებობს ერთი მომხმარებელი საზოგადოება. რომელიც იმით განირჩევა სხვა საზოგადოებებისგან, რომ საკუთარ ფქვილს, ზეთის ხილს, მკარონსა და სხვა საქონელს უგზავნის სხვა და სხვა მომხმარებელ საზოგადოებებს.

რომი სამრეწველო ქალაქი არ არის, მაგრამ კოპერაციამ აქაც ღრმად გაიდგა ფესვები. ყველაზე დიდი მომხმარებელი საზოგადოება იტალიაში არის „Unione militare“, რომელსაც 16,000 წევრი ჰყვანდა და რომელმაც 1900 წ. 7,842,268 ლირის საქონელი დაატრიალა. 1900 წელს მას წმინდა მოგებად დარჩა 1,863,546 ლირა. საზოგადოების წევრად ითვლებიან მხოლოდ აფიცრები და მათი ოჯახის წევრები. საზოგადოების მდარეობაში საქონლის ყიდვა შეუძლიან ყველას, მოგებას ანაწილებენ პროპორციონალურად ნაყიდ საქონლის რაოდენობის მიხედვით. ამ საზოგადოებამ ძალიან დასწია რომში საქონლის ფასი, ხოლო აფიცრებისთვის საჭირო საქონელზე ფასმა 50—70% ით დაიკლო. ეს საზოგადოება ყველაფერში მხარს უჭერს კოპერაციას და ყოველნაირ საშუაოს კოპერაციულად შეკავშირებულ მუშებს უთმობს და საქონლის ყიდვაშიც უპირატესობას კოპერაციულად მოწყობილ ფირმებს აძლევს. საზოგადოების ღვინის სარდაფი რომის შესანიშნავ დაწესებულებად ითვლება. ევროპაში არსებულ აფაცურთა საზოგადოებათა შორის მას პირველი ადგილი უჭირავს ყოველ მხრით.

იტალიის მომხმარებელ საზოგადოებათა ერთი ნაწილი შეკავშირებულია „კოპერაციის ეროვნულ ლიგად.“ მომხმარებელ საზოგადოებათა გარდა ლიგას ეკუთვნის რამდენიმე საწარმოო საზოგადოება და არტელი. 1899 წელს ლიგაში მონაწილეობას იღებდა 334 კოპერაცია, რომელთაც 220,000 წევრი ჰყავდათ და 10 მილიონი ლირის თანხა ჰქონდათ. „ეროვნულ ლიგას“ შემდეგი მიზანი აქვს: იგი კოპერაციის იდეას ავრცელებს ბეჭდვით სიტყვისა და კონგრესების საშუალებით, ავრცელებს სტატისტიკურ ცნობებს, იძლევა იურიდიულ და ადმინისტრაციულ რჩევას, ხელს უწყობს კომერციულ ურთიერთობას არტელებსა, მომხმარებელ საზოგადოებებსა და მწარმოებელთა შორის, ცდილობს კოპერაციებისთვის ხელსაყრელი და სასარგებლო კანონები გამოაცემინოს პარლამენტს და სხ. ლიგაში შესვლის მსურველი კოპერაცია, თუ წას 200 წევრზე მეტი არა ჰყავს, იხდის 10 ლირას, თუ 400-მდე წევრი ჰყავს, — 20 ლირას, თუ 700 მდე, — 30 ლირას, თუ 1000-მდე

100 ლირას და სხ. კოპერაციებს უფლება აქვთ განსაკუთრებული დებები და ანგარიშები დაბეჭდონ უფასოდ ჟურნალში.

„ეროვნულ ლიგას“ მთავარ ძარღვად ითვლება ყოველ წლიური კონგრესი იტალიის კოპერაციულ საზოგადოებებისა. 1903 წელს გენუაში მომხდარ კონგრესს დაესწრო იტალიის პარლამენტის 6 სოციალისტი დეპუტატი, რომელნიც სხვა და სხვა კოპერაციებისაგან დელეგატებად იყვენ არჩეული. კონგრესი მრავალ სხვა და სხვა სერიოზულ საკითხებს არჩევს და მტკიცედ იკავს ნეიტრალურ პრინციპს: პარტიული ინტერესი, შუღლი და კამათი ასეთ კონგრესებზე უარყოფილია.

პოლიტიკურად კოპერაციებით სარგებლობენ მხოლოდ კლერიკალები, რომელთაც იგი პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ პროპაგანდის იარაღად გადააქცევს და ხელში ჩაიგდეს უმეტესი ნაწილი შემხახველ კასებისა, კოპერაციულ ფერმებისა და სასოფლო სამეურნეო საზოგადოებებისა. კლერიკალები უფრო სოფლად მუშაობენ, ქალაქს კი ახლო ვერ უდგებიან, რადგან აქ უფრო განვითარებულ მუშებში არავითარი ნიადაგი არა აქვთ.

სარჩენი: —სამღვდელოების ბრძოლა. —ხანმოკლე სათათბირო. ს. მ.—ლისა. —პატარა ფიქრები ა.—ლისა. —სახელმწიფო (პ. ლაგოვისა) —დონისა. —უნგრეთის აჯანყება გ. გ.—ძსი. —ჩვენება სამატიკოროში. დ. თომაშვილსა. —მომხმარებელი საზოგადოებები იტალიაში, მ.—სა.

რედაქტორი **ფ. გოგინიშვილი**
გამომცემელი **თ. დი პავლე ი. თუმანიშვილი.**

ყოველკვირეული სახალხო გაზეთი
გ ლ ე ს ი

გაზეთი ემსახურება მიწის მუშა გლეხობის ინტერესს: მიწა და თავისუფლება, მიწის მუშებს! გაზეთი ხელს შეუწყობს მშრომელ გლეხების განვითარებას, გამოარკვევს ადგილობრივ საქროებას და ვაიკნობს ჩვენს გლეხებს რუსეთის და ევროპის გლეხობის მოძრაობას. პრაღეტარიატი და გლეხობა ის მოწინავე რაზმია, ის მშრომელი კლასი, რომელიც თავის ოფლით ასაზრდოებს მთელს ქვეყანას და რომელიც უშაბდებს კაცობრიობას განახლებას და ახალს, სამართლიანობასა, თანასწორობასა და თავისუფლებაზე დამყარებულს ცხოვრებას. ფასა გაზეთისა: წლის დასაწყისში 1 მან. და 60 კაპ., ს. მის თვით — 80 კა., ცალკე №—6 კ.



გოითოხვეთ ნაშდვილი
„**მღობრინი**“ მ. ვ. ლეშევიძის

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსავე ღღერაში ძველს ბებერას ზე მტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად, მხოლოდ ეტოკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული, № 22437.

იყიდება ტფილისში —სააფთაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობისა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.
(წლ.)